პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 68 (5169) | ხუთშაბათი, 24 მარტი, 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

რუსული ენის სწავლება—მაღალ საფეხურზე (მე-2 გვ.)

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა: მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ პერსონალის, გემების „ტაიმირის“, „მურმანის“, „მურმანეცის“ და „ერმაკის“ ეკიპაჟებისა და საექსპედიციო შემადგენლობის და მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ მომზადებისა და ორგანიზების მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ. (1-ლი გვ.)

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა სოფლად („პრავდის“ მოწვინავე. მე-2 გვ.)

ბ. ჩარეჟიშვილი — გემზადოთ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის (ფელეტონი, მე-2 გვ.)

უცხოეთში

საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-2 გვ.)

დაძაბული შინაპოლიტიკური მდგომარეობა ინგლისში (მე-2 გვ.)

მასობრივი დაპატიმრებანი ავსტრიაში (მე-2 გვ.)

ერთვნული ბიბლიოთეკა

რუსული ენის სწავლება— მაღალ საფეხურზე!

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, დიდმა რუსმა ხალხმა, რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ერებთან მჭიდრო კავშირში სამუდამოდ მოსპო ყოველგვარი ჩაგვრა, ააშენა სოციალისტური საზოგადოება, გაჰფურჩქნა და ააყვავა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა.

საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან მოძმე რესპუბლიკათა სოციალისტური კულტურის საგანძურში უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი დიდ რუს ხალხს. რუსულ ენაზე შეჰქმნეს უკვდავი ნაწარმოებნი ხალხთა საყვარელმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა, ამ ენაზე არსებობს მდიდარი პოლიტიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურა, ამ ენაზეა დაწერილი მხატვრული სიტყვის უდიდესი კლასიკური ნაწარმოებნი.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა კავშირში გაერთიანებული არაერსი ეროვნებანი ყოველთვის დიდად აფასებდნენ, პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ რუსულ ენას — განათლებისა და კულტურის ბასრ იარაღს.

დიდი ლენინი, მკაცრად ილაშქრებდა რა ლიბერალების წინააღმდეგ, ჯერ კიდევ მსოფლიო ომის დროს სწერდა: „ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ენა ტურგენევისა, ტოლსტოისა, დობროლუბოვისა, ჩერნიშევსკისა — დიადი და ძლიერია... და „ჩვენ, რასაკვირველია, იმის მომხრე ვართ, რომ რუსეთის თვითეულ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს ისწავლოს დიადი რუსული ენა“.

ლენინის ეს შესანიშნავი სიტყვები დაფუძნებული იყო ხალხის მოთხოვნილების ღრმა ცოდნაზე.

„ჩვენს ხალხს — სწერდა ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი — სურს იცოდეს რუსული ენა. ეს სურვილი, უნდა მართალი ვთქვათ, იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულს ენას ადგილი არ ეჭნება, ვერ მოიპოვებს ჩვენი ხალხის სრულს სიმპატიასა“.

მენშევიკებმა თავიანთი ბარბაროსული თარეშის წლებში საქართველოს სკოლებიდან მშრომელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ განდევნეს რუსული ენა და ამით შესძლეს დიდი ზიანი მიეყენებინათ ჩვენი კულტურის განვითარებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის აყვავების პერიოდში, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად, დიდი ლენინის ენამ, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ენამ დედაენის გვერდით ჩვენს სკოლებში კვლავ მოიპოვა თავისი საპატიო ადგილი.

მაგრამ ტროცკის - ბუხარინელმა ბანდიტებმა, ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა, რომლებიც წლობით ფარულობდნენ საქართველოს სახალხო განათლების ორგანოებში, ხელი შეუშალეს ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლების ნორმალურად დაყენებას.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-მა თავის 1933 წლის 2 ოქტომბრის ცნობილი დადგენილებით აღნიშნა, რომ რუსული ენის სწავლება ყველა საფეხურის სკოლაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. ამის შედეგად არათუ დაწუებით და საშუალო, არამედ უმაღლეს სკოლადამთავრებულებმაც იმდენად ცუდად იციან რუსული ენა, რომ არ შეუძლიათ ისარგებლონ იმ მდიდარი პოლიტიკური, მხატვრული და სამეცნიერო - ტექნიკური ლიტერატურით, რომელიც რუსულ ენაზე არსებობს.

რუსული ენის სწავლების ასე ცუდად დაყენების მიზეზი ის არის, რომ სახალხო განათლების ორგანოები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ ამ საგნის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების მომზადებას, სათანადოდ არ აფასებდნენ ოქტომბრის რევოლუციის ენის შეთვისების მნიშვნელობას.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატის ყოფილმა მავნებლურმა ხელმძღვანელობამ დანაშაულებრივი დაუდევრობა და უსინდისო ბიუროკრატიზმი გამოიჩინა რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებით იყო დასახული. ამის გამო თბილისის სახ. უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილებაში ნაცვლად 120 სტუდენტისა 30-40 კაცი მიიღეს. ამიტომ იყო, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველმა გამოშვებამ რუსული ენისა და ლიტერატურის მხოლოდ 70 მასწავლებელი მოგვცა. არც განსახკომისა და არც უნივერსიტეტის ყოფილ „ხელმძღვანელებს“ თავი არ შეუწუხებიათ რუსული სექტორისათვის სათანადო კონტინგენტის შესარჩევად. ეს საქმე თვითდინებაზე იყო მიტოვებული. განსახკომმა არ მოაწყო რუსული ენის მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები, სავსებით მივიწყებული და უგულებელყოფილი იყო მასწავლებლებისათვის მეთოდიური დახმარების გაწევა და სხვ.

სკოლების სასწავლო გეგმებით გათვალისწინებული საათები საქმარისი არ არის რუსული ენის საფუძვლიანად შეთვისებისათვის. განსახკომის მიერ შედგენილი და მოწონებული პროგრამები და სახელმძღვანელოები არ შეეფარდებიან სკოლების მოთხოვნილებას. მოწაფეების მიერ შესათვისებელ სიტყვათა ის რაოდენობა, რაც მოცემულია პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში, იმდენად გაბერილია და სიტყვები ისე უსისტემოდ არის დალაგებული, რომ მოწაფეები ზერელედ ითვისებენ სიტყვებსა და გაძოთქმებს, ცუდად შეითვისებულს ძალე ივიწყებენ და, ამგვარად, გაწეული მუშაობა სათანადო ნაყოფს ვერ იღებს. სახელმძღვანელოებში თითქმის სრულებით არ არის მოცემული ლექსიკური სავარჯიშო და გრამატიკული მასალა. სკოლებში სახმარად მიღებული სახელმძღვანელოები ენობრივ პრინციპზე არ არის აგებული, მასალები არ ეფარდება ადგილობრივს სინამდვილეს, არ არის დაცული ადვილიდან ძნელზე გადასვლისა და შეთვისებულ სიტყვათა განმეორების პრინციპები და სხვ.

თბილისის მშრომელი ინტელიგენციის წინასაარჩევნო კრებაზე 1937 წლის 9 დეკემბერს ქართველი ხალხის საყვარელმა შვილმა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ სთქვა: „ჩვენც ჩვენი მხრივ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ უმდიდრესი რუსული კულტურა და რუსული ენა. ეს კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ნაციონალურ კულტურას, გააფართოვებს მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა გონებრივ ჰორიზონტს“. ამხანაგ ლ. პ. ბერიას ეს მითითება სახალხო განათლების ორგანოებს ავალებს უფრო მეტი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი ჩვენს სკოლებში რუსული ენის სწავლების მაღალ საფეხურზე აყვანას.

განათლების სახალხო კომისარიატმა უკანასკნელ ხანებში მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა ჩვენს სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მაღალ საფეხურზე ასაყვანად. მაგრამ ღონისძიებათა დასახვა მხოლოდ დასაწყისია. მთავარია ამ ღონისძიებათა ბოლშევიკურად განხორციელება, რაც სახალხო განათლების ორგანოებმა, მასწავლებლებმა, სკოლებმა აუცილებლად უნდა შესძლონ.

17 მარტს მოსკოვში ჩამოვიდნენ ჩრდილოეთის პოლუსის მძლეველნი, სოციალიზმის ქვეყნის გმირი შვილები პაპანინი, შირშოვი, კრენკელი და ფედოროვი.

სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნით): ე. თ. კრენკელი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. პაპანინი, ე. კ. ფედოროვი და პ. პ. შირშოვი ტრიბუნაზე — კომკავშირის მოედანზე საზეიმო მიტინგის დროს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ პერსონალის დაჯილდოების შესახებ

1. მთავრობის დავალების შესრულების საქმეში გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება, ლენინის ორდენის გადაცემით:

ერნსტ თეოდორეს-ძე კრენკელს—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ რადისტს

პეტრე პეტრეს-ძე შირშოვს—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეცნიერ მუშაკს

ევგენი კონსტანტინეს-ძე ფედოროვს—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეცნიერ მუშაკს.

2. დაჯილდოებულ იქნას ლენინის მეორე ორდენით საბჭოთა კავშირის გმირი **ამხ. ივანე დმიტრის-ძე პაპანინი**—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ უფროსი.

3. მიეცეთ ამხ. **ი. დ. პაპანინს, ე. თ. კრენკელს, პ. პ. შირშოვს** და **ე. კ. ფედოროვს** ფულადი ჯილდო 30 ათასი მანეთის ოდენობით თვითეულს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 22 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ პერსონალის დაჯილდოების შესახებ

1. მთავრობის დავალების შესრულების საქმეში გმირობის გამოჩენისათვის მიენიჭოთ საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება, ლენინის ორდენის გადაცემით:

ერნსტ თეოდორეს-ძე კრენკელს—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ რადისტს

პეტრე პეტრეს-ძე შირშოვს—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეცნიერ მუშაკს

ევგენი კონსტანტინეს-ძე ფედოროვს—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ მეცნიერ მუშაკს.

2. დაჯილდოებულ იქნას ლენინის მეორე ორდენით საბჭოთა კავშირის გმირი **ამხ. ივანე დმიტრის-ძე პაპანინი**—მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ უფროსი.

3. მიეცეთ ამხ. **ი. დ. პაპანინს, ე. თ. კრენკელს, პ. პ. შირშოვს** და **ე. კ. ფედოროვს** ფულადი ჯილდო 30 ათასი მანეთის ოდენობით თვითეულს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. კალინინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 22 მარტი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ პერსონალის, გემების „ტაიმირის“, „მურმანის“, „მურმანეცის“ და „ერმაკის“ ეკიპაჟებისა და საექსპედიციო შემადგენლობის დაჯილდოების შესახებ

მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთის პოლუსის“ პერსონალის გადმოყვანის შესახებ მთავრობის დავალების ჩინებულად შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან გემების „ტაიმირის“, „მურმანის“, „მურმანეცის“ და „ერმაკის“ ეკიპაჟი და საექსპედიციო შემადგენლობა:

ლენინის ორდენით

1. ბ. დ. ბარსუკოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ კაპიტანი.

2. ი. ფ. კოტცოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ კაპიტანი.

3. ი. ნ. ულიანოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ კაპიტანი.

4. ა. ვ. ოხტალცევი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ ექსპედიციის უფროსი.

5. გ. პ. ვლასოვი — პილოტი

და დაჯილდოებულ იქნან ისინი ფულადი პრემიით 10 ათასი მანეთით თვითეული.

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. ა. ს. დოროფეევი — ავიაშტურმანი

2. ლ. ა. უმოვსკი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ სამხედრო კომისარი.

3. ი. ტ. უსაჩევი — შტურმანი

4. დ. ა. სლავინი — შტურმან-ელექტრიკოსი

5. ა. ი. რიასინი — მენაღმე

6. ვ. დ. უშაკოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ კაპიტნის დუბლიორი.

7. ვ. ვ. პოხმელნოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ შტურმანი

8. ა. ი. პუხოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ სამხედრო კომისარი.

9. ზ. პ. ბრატანოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი მემანქანე

10. მ. ა. დიაკოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ უფროსის თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში.

11. ა. ი. ზოსიმოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ რადისტი

12. ლ. ა. გაუხმანი — საცდელი რადიო-ლაბორატორიის უფროსი

13. ა. ს. გერებენშჩიკოვი — შინსახკომის მურმანსკის სამხარეო განყოფილების უფროსი

14. ე. გ. ბაბაჩენკო — საქ. კ. პ. (ბ) მურმანსკის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის მდივანი

15. ვ. ვ. ვოროუცოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ რადიოტექნიკოსი.

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. ბ. ი. მიხაილოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ უფროსი მექანიკოსი

2. ი. დ. გრაბელნიკოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ რადისტი

3. ფ. ი. იარომცოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ ბოცმანი

4. ნ. პ. სტარკოვსკი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მესაჭე

5. ა. მ. ივანოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ უფროსი მყვინთავი

6. ბ. პ. არხიპოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ უფროსი მყვინთავი

7. ვ. ა. ლობზინი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი მექანიკოსი

8. ი. ა. ხუდიაკოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ ბოცმანი

9. ი. ა. როვჩენი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ შტურმან - ელექტრიკოსი

10. ნ. ნ. ლიუბოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ მესაჭე

11. ლ. ი. იაროვიცინი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი რადისტი

12. ე. ა. აპტეკარიოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ შტურმანი

13. ვ. გ. იაკოვლევი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ შტურმანი

14. ა. ი. ლიოგკი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ უფროსი მექანიკოსი

15. ა. მ. სტრელკოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ ბოცმანი

16. ვ. ი. ლევიცკი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეზღვაური

17. ი. ა. პოპოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეზღვაური

18. ფ. მ. გოლიაშევი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეზღვაური

19. ს. ი. ტარაბორინი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეზღვაური

20. მ. ა. ევსეევი — № 35 ქარხნის ოსტატი, რომელიც იყო ყინულმჭრელ გემ „ტაიმირზე“

21. ვ. პ. მელეშკო — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მეცნიერთა ჯგუფის უფროსი

22. პ. ა. რუდაკოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ ჰიდრობიოლოგი

23. კ. პ. მალინინი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ უფროსი მექანიკოსი

24. ს. ე. კაბაჩკოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ უფროსი ცეცხლფარეში

25. მ. ს. ოვჩინკოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ უფროსი მემანქანე

26. ი. პ. მარტიუშინი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ ბოცმანი

27. ი. ს. ნესტეროვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მურმანსკის სამმართველოს უფროსი

28. ვ. ლ. დობროჟანსკი — საცდელი რადიო-ლაბორატორიის საგამოკვლევო ნაწილის უფროსი

29. ე. ი. ივანოვი — საცდელი რადიო-ლაბორატორიის წარმოების უფროსი

30. ვ. გ. პეტუხოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ უფროსი რადისტი

31. ს. ი. სემიონოვი — კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის მოსკოვის რადიოტექნიკური კვანძის უფროსი

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. ვ. ი. ვორონინი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ კაპიტანი, წინათ დაჯილდოებული ლენინის, წითელი ვარსკვლავის და შრომის წითელი დროშის ორდენით

2. ნ. ვ. კოროლიოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ კაპიტნის უფროსი თანაშემწე

3. ლ. მ. ფედოსეევი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ შტურმანი

4. ს. დ. ბარანდინი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მეორე მექანიკოსი

5. პ. ა. სერგეევი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ უფროსი რადისტი

6. ნ. ი. პერევალოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მეზღვაური

7. პ. ი. ჩერტკოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მეზღვაური

8. ა. ხაბიროვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ უფროსი მემანქანე

9. ფ. ვ. ბელობოკოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ უფროსი ელექტრიკოსი

10. ვ. დ. კარელსკი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მესაჭე

11. ა. ი. უვაროვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ მემანქანე

12. ე. ე. ივაშჩენკო — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ შტურმანი

13. ნ. ა. კულებიაკინი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ რადისტი

14. ვ. მ. ნეპომილუევი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ მესაჭე

15. პ. ი. მარტინოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ ხუროთმოძღვარი

16. გ. ი. კოტლოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ მეზღვაური

17. ვ. ფ. კოტლოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი მემანქანე

18. ა. ა. ბუგაევი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი ცეცხლფარეში

19. ე. ა. ხელივერსტოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი ცეცხლფარეში

20. ა. ნ. ლამანოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ უფროსი ცეცხლფარეში

21. ლ. პ. ხერებრიაკოვი — ყინულმჭრელ გემ „მურმანის“ ცეცხლფარეში

22. პ. ა. პოლისადოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ კაპიტანის უფროსი თანაშემწე

23. გ. ი. გრიგორიევი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეორე მექანიკოსი

24. ნ. ა. ინკინი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მესამე მექანიკოსი.

25. ფ. ა. პიშინსკი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ რადისტი

26. ხ. ი. ხროსოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეზღვაური მყვინთავი

27. ი. ს. ნიკიტენკო — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მეზღვაური მყვინთავი

28. ფ. რ. მიროშნიჩენკო — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ მზარეული

29. ა. ა. იზოსიმოვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ იუნგი

30. ბ. ი. ოლენიჩი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ სინოპტიკოსი

31. მ. პ. ბობროვი — ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ ჰიდროლოგი

32. მ. ი. ჩაგინი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ ბორტ-მექანიკოსი

33. ვ. ა. ბრეჩალოვი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ ბორტ-მექანიკოსი

34. ხ. ვ. აკოპიანი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ საავიაციო შტურმანი

35. ხ. კ. ავერბუხი — ყინულმჭრელ გემ „ტაიმირის“ სინოპტიკოსი

36. ი. ნ. ხალიპი — „სოიუზფოტოს“ სპეცკორი

37. ე. ს. ვილენსკი—გაზეთ „იზვესტიას“ სპეცკორი „ტაიმირზე“

38. ი. მ. სლავინი — „სოიუზკინოქრონიკის“ კინოოპერატორი

39. მ. ბ. ჩერნენკო — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ სპეცკორი „ტაიმირზე“

40. ო. ი. ესტერკინი—გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი „ტაიმირზე“

41. ვ. ა. სიმონოვი — „სოიუზკინოქრონიკის“ კინოოპერატორი ყინულმჭრელ გემ „მურმანზე“

42. ა. ხ. ფინოგენოვი — გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ სპეცკორი ყინულმჭრელ გემ „მურმანზე“

43. ნ. გ. პასტუხოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ უფროსის თანაშემწე პოლიტიკურ ნაწილში

44. ა. ი. ვეტროვი — ყინულმჭრელ გემ „ერმაკის“ კაპიტნის უფროსი თანაშემწე

45. გ. ვ. ეროხოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ ცეცხლფარეში

46. ვ. ხ. სტეპანოვი — ყინულმჭრელ „ერმაკის“ რადისტი

47. ლ. ბ. ხვატი — გაზეთ „პრავდას“ სპეცკორი ყინულმჭრელ „ერმაკზე“

48. ხ. ი. ლოსკუტოვი — „სოიუზფოტოს“ სპეცკორი ყინულმჭრელ „ერმაკზე“

49. ა. ი. კოვალევი—საცდელი რადიო ლაბორატორიის ინჟინერი

50. დრუკერი — კავშირგაბმულობის დეტსკოსელსკის რადიოსადგურის უფროსი რადისტი

51. ტ. ა. გაუხმანი — საცდელი რადიო ლაბორატორიის ინჟინერი

52. ნ. ი. აუხტუნი — ინჟინერი

53. მ. ხ. ლისიუტინი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის ლენინგრადის სამმართველოს საზღვაო განყოფილების უფროსი

54. ა. მ. პროკოპენკო — მურმანის სამხედრო ნავსადგურის ტექნიკური განყოფილების უფროსი.

55. ნ. დ. შჩეტინი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის მურმანის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი

56. ი. ა. ბელოუსოვი — ჩრდილოეთის საზღვაო გზის ლენინგრადის სამმართველოს უფროსი.

ყინულმჭრელ გემის „ტაიმირის“, „მურმანის“ და ნადირმხოც გემ „მურმანეცის“ საგემო და საექსპედიციო შემადგენლობას მიეცეს ფულადი ჯილდო სამი თვის პოლარული ხელფასის რაოდენობით.

ყინულმჭრელ „ერმაკის“ ეკიპაჟთა და საექსპედიციო შემადგენლობას მიეცეს ფულადი ჯილდო ერთი თვის პოლარული ხელფასის რაოდენობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 22 მარტი.

გამოხმაურება ამხ. ლიტვინოვის განცხადებაზე

სტოკჰოლმი, 21 მარტი (საკდესი). შვედური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ნიუ ტიდი“ ამხ. ლიტვინოვის განცხადებისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში სწერს, რომ „ამჟამად მსოფლიოს სულ სხვანაირი სახე ექნებოდა, თავის დროზე რომ მიეღოთ საბჭოთა კავშირის წინადადება განიარაღების შესახებ“. წინადადება, წამოყენებული ამხ. ლიტვინოვის განცხადებაში, განაგრძობს გაზეთი: „მიუთითებს ერთადერთ შესაძლო გზაზე, რომელზე დადგომითაც შეიძლება ბოლო მოეღოს მუქარას ფაშისტური აგრესორების მხრით. ამასთანავე, მხოლოდ ამ გზას შეუძლია დიდი ხნით გასწმინდოს ის აუტანელი ატმოსფერო, რომელიც ამჟამად გაბატონებულია მთელს მსოფლიოში“.

შანხაი, 21 მარტი (საკდესი). ცნება რა ამხანაგ ლიტვინოვის განცხადებას, გაზეთი „ვენეციობო“ აღნიშნავს, რომ იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს საბჭოთა კავშირის სიმტკიცეს და მის განუწყვეტელ ბრძოლას მშვიდობიანობის შენარჩუნებისათვის. გაზეთი სწერს, რომ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებებს არა მარტო უდიდესი მნიშვნელობა აქვს თავისთავად, არამედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ წამოყენებულია თავის დროზე. „ჩინეთის ხალხი, — დაასკვნის გაზეთი, — მიესალმება ლიტვინოვის განცხადებას და სთვლის მას თავის დახმარებად ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ფრიად საჭიროა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოლაპარაკება უნდა შეეხოს არა მარტო ევროპის პრობლემებს, არამედ შორეულ აღმოსავლეთის პრობლემებსაც“.

პარტიული ცხოვრება

ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს

(ბორჯომი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან).

ბორჯომის რკინიგზის კვანძის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ცილისმწამებლური ბრალდებების საფუძველზე, რომლებიც არ შეუმოწმებიათ, საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხა საორთქლმავლო დეპოს სტახანოველი მემანქანე ამხ. ლაცაბიძე. შემდეგ გამოირკვა, რომ ლაცაბიძის მიმართ წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა, რის გამო საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომმა რკინიგზის პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილება გაუქმა როგორც უკანონო და ამხ. ლაცაბიძე აღადგინა პარტიის წევრის უფლებებში.

ასევე ცილისმწამებლური ბრალდებების საფუძველზე გაირიცხნენ პარტიიდან ბორჯომის საორთქლმავლო დეპოს საუკეთესო კომუნისტები — სტახანოველი მემანქანეები ამხ. გ. ნოზაძე, გ. კიკაძე, ნ. რაზმაძე და სხვები. საორთქლმავლო დეპოს უფროსი ამხ. ალ. კიკნაძე, იზღვევდა რა თავს, დაუყოვნებლივ ხსნიდა სამუშაოდან პარტიიდან უკანონოდ გარიცხულ სტახანოველებს. მაგალითად, მან სამუშაოდან მოხსნა სტახანოველი გ. კიკაძე, ბ. გელაშვილი, გ. ნოზაძე, რაზმაძე და სხვები, რომლებიც ჯერაც არ არიან აღდგენილნი სამუშაოზე.

რკინიგზის კვანძის პარტიული ორგანიზაცია დაუშვებლად აქციანურებს პარტიიდან გარიცხულთა აპელაციებისა და განცხადებების განხილვას.

პარტიიდან ხელაღებით გარიცხვას ადგილი ჰქონდა აგრეთვე მინერალური წყლების ბორჯომის ქარხნის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში. აქ სრულიად უდანაშაულოდ გარიცხეს პარტიიდან ამხ. კ. ჰაქსაშვილი, შ. ლომსაძე, პ. ლობჟანიძე, კ. ჰისკუნოვი და ნერსესოვი. ახლა ამ ამხანაგების უდანაშაულობა სავსებით გამორკვეულია და ისინი აღდგენილი არიან პარტიის წევრთა უფლებებში.

ბორჯომის საკასრე ქარხნის პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიიდან გარიცხა კომუნისტი ამხ. ს. გოგინაშვილი იმის გამო, რომ იგი შინსახკომში იყო გამომძახებული როგორც მოწმე. გოგინაშვილის შინსახკომში ყოფნის ამბავი რომ გაიგო, პარტკომის მდივანმა ამხ. ცხრუმელაშვილმა იფიქრა, გოგინაშვილი უეჭველად ხალხის მტერიაო, და დაუყოვნებლივ მოიწვია ორგანიზაციის დახურული კრება. გოგინაშვილი გარიცხეს პარტიიდან ისე, რომ თვითონ არც კი დასწრებია ამ კრებას.

საქ. კ. პ. (ბ) ბორჯომის რაიკომმა, ამხ. გოგინაშვილი აღადგინა პარტიაში, როგორც უკანონოდ გარიცხული. აღდგენილ იქნა აგრეთვე საკასრე ქარხნის პარტორგანიზაციის მიერ უკანონოდ გარიცხული ამხ. არჯევანიძე.

პარტიიდან ხელაღებით გარიცხვის ფაქტები იყო ბორჯომის რაიონის სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებშიც. ამჟამად ენერგიული მუშაობა სწარმოებს ამ საქმეში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

გრ. ლომიძე.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-შემკეთებელ ქარხანაში ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი 100 წრე.

სურათზე: ძირეული აგიტატორები შინჯიკაშვილი და მარშაღია (მარცხნიდან) ქარხნის პარტკაბინეტში პროპაგანდისტ ამხ. ხუციშვილისაგან (შუაში) დებულობენ კონსულტაციას არჩევნების საკითხებზე.

ფოტო ბუდუშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

პარტიის რიგების ზრდას მჭკიცე პარტიული ხელმძღვანელობა

1936 წლის 29 სექტემბერს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიაში მიღების განახლების შესახებ.

რა გააკეთეს ამ მხრივ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა?

ბევრმა პარტიულმა პირველადმა ორგანიზაციამ გაშალა მუშაობა პარტიაში მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული ადამიანების მოსაზიდად, მაგრამ ბევრი არასერიოზულად მოეკიდა პარტიის რიგების ზრდის საქმეს. ისინი არავითარ პოლიტ-მასობრივ აღმზრდელობით მუშაობას არ აწარმოებდნენ პარტიის რეზერვებთან — თანამგრძნობებთან და კომკავშირთან, სრულიად მივიწყებული იყო უპარტიო აქტივი.

მაგალითად, ხაშურის რაიონში ბევრია ისეთი პირველადი პარტორგანიზაციები, რომელთაც პარტიაში მიღება სრულიად დაივიწყეს. ხაშურის რკინიგზის კვანძის მასალათა საწყობის პარტორგანიზაციის ზოგიერთ წევრთათვის ჯერ კიდევ გაურკვეველი და სადავოა ის საკითხი, შეიძლება თუ არა მათმა პირველადმა ორგანიზაციამ მიიღოს პარტიაში ახალი წევრები, ან თუ შესაძლებელია პარტიულ ორგანიზაციასთან მოწყობილ იქნას თანამგრძნობთა ჯგუფი(!).

სპირტის ქარხნის პირველადს პარტორგანიზაციაში, რომელშიაც 9 კომუნისტი ირიცხება, ერთი წლის განმავლობაში პარტიაში არცერთი კაცი არ მიუღიათ, მაშინ როდესაც ქარხანაში 107 კაცი მუშაობს.

პარტიაში მიღებისათვის თავი არ შეუწუხებიათ სოფ. ქვიშხეთის, ალის, ფლევის, დირბის და ოსიაურის საკოლმეურნეო პირველადს პარტორგანიზაციებს. პარტიაში მიღებას სუსტად ხელმძღვანელობს აგარის შაქრის ქარხნის პირველადი პარტორგანიზაცია. ერთი წლის განმავლობაში ქარხანაში ჩამოშავე 68 კომკავშირელიდან მხოლოდ 1 მიღებულია პარტიის წევრობის კანდიდატად, მაშინ როდესაც აქ ბევრი არიან მოწინავე ადამიანები, საუკეთესო მუშაკები, რომლებმაც თავისი ენერგიული მუშაობით დაუმტკიცეს ქარხნის მთელ კოლექტივს, რომ ღირსნი არიან პარტიაში მიღებისა. ასეთები არიან: ამხ. რატიშვილი, ოლია მელნიკი, არუთინოვი, ლომიძე და სხვ., რომელთაც დიდი სურვილი აქვთ შეუერთდნენ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში.

ხაშურის რაიონის 43 პირველადს პარტორგანიზაციას სრულიად არ უზრუნია პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის. პარტრიგების ზრდა უმთავრესად მიმდინარეობდა ხაშურის რკინიგზის პარტორგანიზაციათა ხარჯზე. მაგალითად, ხაშურის ელდეპოს პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ)-ში მიღების განახლებიდან დღემდე პარტიის წევრობის კანდიდატებად მიიღო 38 კაცი, ხოლო კანდიდატებიდან საქ. კ. პ. (ბ) წევრად გადარიცხა 5, საორთქლმავლო დეპომ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო 9 კაცი.

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის პარტრაიკომის ინსტრუქტორები დღემდე არასაკმაო სერიოზულობით ხელმძღვანელობდნენ თავიანთ ზონებში პარტიაში მიღების საქმეს. არ ეხმარებოდნენ პირველად პარტორგანიზაციებს პარტიაში ახლად მიღებულთა საბუთების გაფორმებაში, რის გამო ხშირად ჰიანურდებოდა პარტიაში მიღებულთა საქმის განხილვა რაიკომში.

ასეთი მაგალითები იყო თბილისის პირველადი პარტორგანიზაციების ცხოვრებაშიაც. ამიერ-კავკასიის მექანიკური აღრიცხვის ქარხნის პარტორგანიზაციას (პარტორგი ამხ. არევაძე) მთელი წლის განმავლობაში პარტიაში ერთი კაციც არ მიუღია. პარტორგის მაგიდის უჯრაში დიდი ხნობით ხელუხლებლად აწყვია განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. გასული წლის აგვისტოში შემოტანილი 5 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ამ ორგანიზაციას ჯერაც არ განუხილავს.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება კომკავშირელთა მიზიდვას პარტიის რიგებში. მათ დაივიწყეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიაში კომკავშირელთა მიზიდვის შესახებ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რკინიგზის პროფკავშირების პარტორგანიზაცია (პარტორგი ამხ. ბახტაძე). აქ 150 მეტი კაცი მუშაობს, ბევრია მოწინავე კომკავშირელი, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არცერთი კომკავშირელი არ მიუღია პარტიაში.

ასევე ითქმის რკინიგზის სასამართლოს პარტორგანიზაციის შესახებაც, სადაც ამ 16 თვის განმავლობაში არცერთი ახალგაზრდა არ მიუღიათ პარტიაში.

საჭიროა პარტიისა და კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა უფრო სერიოზულად მოჰკიდონ ხელი პარტიაში მიღების საქმეს. რაიკომებს ინსტრუქტორები არა მარტო უნდა მიუთითებდნენ პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიაში მიღებულთა საბუთების გაფორმებაში, რის გამო ხშირად ჰიანურდებოდა პარტიაში მიღებულთა საქმის განხილვა რაიკომში.

ასეთი მაგალითები იყო თბილისის პირველადი პარტორგანიზაციების ცხოვრებაშიაც. ამიერ-კავკასიის მექანიკური აღრიცხვის ქარხნის პარტორგანიზაციას (პარტორგი ამხ. არევაძე) მთელი წლის განმავლობაში პარტიაში ერთი კაციც არ მიუღია. პარტორგის მაგიდის უჯრაში დიდი ხნობით ხელუხლებლად აწყვია განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. გასული წლის აგვისტოში შემოტანილი 5 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ ამ ორგანიზაციას ჯერაც არ განუხილავს.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება კომკავშირელთა მიზიდვას პარტიის რიგებში. მათ დაივიწყეს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიაში კომკავშირელთა მიზიდვის შესახებ. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რკინიგზის პროფკავშირების პარტორგანიზაცია (პარტორგი ამხ. ბახტაძე). აქ 150 მეტი კაცი მუშაობს, ბევრია მოწინავე კომკავშირელი, მაგრამ პარტიულ ორგანიზაციას დღემდე არცერთი კომკავშირელი არ მიუღია პარტიაში.

ასევე ითქმის რკინიგზის სასამართლოს პარტორგანიზაციის შესახებაც, სადაც ამ 16 თვის განმავლობაში არცერთი ახალგაზრდა არ მიუღიათ პარტიაში.

საჭიროა პარტიისა და კომკავშირის რაიონულმა კომიტეტებმა უფრო სერიოზულად მოჰკიდონ ხელი პარტიაში მიღების საქმეს. რაიკომებს ინსტრუქტორები არა მარტო უნდა მიუთითებდნენ პირველადს პარტორგანიზაციებს პარტიაში ახლად მიღებულთა საბუთების გაფორმებაში, რის გამო ხშირად ჰიანურდებოდა პარტიაში მიღებულთა საქმის განხილვა რაიკომში.

ასეთი მაგალითები იყო თბილისის პირველადი პარტორგანიზაციების ცხოვრებაშიაც. ამიერ-კავკასიის მექანიკური აღრიცხვის ქარხნის პარტორგანიზაციას (პარტორგი ამხ. არევაძე) მთელი წლის განმავლობაში

შ. იოსავა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტ. ორგანოების განყ. ინსტრუქტორი.

პოლიტიკური აგიტაცია დაავიწყდათ

(ცაგერი, „კომუნისტის“ საქ. კორ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარების შემდეგ ცაგერის რაიონის ბევრ პირველად პარტორგანიზაციას დაავიწყდა აგიტ-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა. საილუსტრაციოდ ავიღოთ სოფელ ორბელის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მუშაობის მაგალითი. საარჩევნო კამპანიის დამთავრებისთანავე ამ ორგანიზაციამ აგიტ-მასობრივი მუშაობა თითქმის შეწყვიტა.

— მართალია, — ამბობს პარტორგი ამხ. პლატონ გვიშიანი, — კარგი იყო განგვეგრძო არჩევნების დროს წარმოებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, მაგრამ საამისოდ საკუთარი კადრები არა გვყავსო.

ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სამასამდე კოლმეურნე ითვლება, რომელთაგან ბევრმა, საარჩევნო კამპანიის პერიოდში აქტიურ, უნარიან აგიტატორად გამოიჩინა თავი. ორბელელი ამომრჩევლები ახლაც სიყვარულით იხსენიებენ ისეთ უპარტიო კოლმეურნე აგიტატორებს, როგორიც არიან: დავით სილაგაძე, ლუბა ბურჯალიანი, ლ. ბურჯალიანი, სერგო ხერგიანი, იასონ ბურჯალიანი, გერასიმე გვიშიანი, მინა ბურჯალიანი და სხვ.

კოლმეურნეებსა და კოლმეურნე-ქალებს ახლა სწყურიათ ამბების მოსმენა, საუბრები და მოხსენებები ჩვენი დიადი ქვეყნის გამარჯვებებზე. რესპუბლიკური ესპანეთის ბრძოლაზე ფაშისტების წინააღმდეგ, იაპონიის იმპერიალიზმის აგრესიაზე ჩინეთში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის შედეგებზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ და სხვ. სოფ. ორბელის ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებში არათუ საუბარი არ გაუმართავთ, არამედ გაზეთის ხმამაღლა კითხვასაც მიაჩნებეს თავი.

კოლმეურნეობას არა აქვს ბიბლიოთეკა, წითელი კუთხე, 1937 წლის იანვრიდან დღემდე მხოლოდ ორჯერ გამოუშვეს კედლის გაზეთი. სამასი კოლმეურნიდან გაზეთი მხოლოდ სამ კოლმეურნეს აქვს გამოწერილი. კოლმეურნეობის ახლოს არსებობს კლუბ-სამკითხველო, მაგრამ პარტორგანიზაცია ჯერ არ ცდილა გამოეყენებინა იგი თავისი კოლმეურნეებისათვის კულტმომსახურების გაწევის მიზნით. კინომომსახურებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. პირველადს პარტორგანიზაციას კოლმეურნეების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა არ ადარდებს. კოლმეურნეობაში არავითარი თვითმოქმედი წრე არ არსებობს. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ასევე მივიწყებული და ჩამორჩენილია ცაგერის რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და პირველადს პარტორგანიზაციაში. მართალია, საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომმა იანვრის პირველ რიცხვებში სპეციალური პარტიული დღე მიუძღვნა კოლმეურნეობებში მასობრივ-პოლიტიკური და კულტურული მუშაობის საკითხებს, და ამ დღეს პირველადმა პარტორგანიზაციებმა მრავალი კონკრეტული ღონისძიება დასახეს, მაგრამ ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

გ. ყურაშვილი.

საოჯახო ბრძოლა ჩინეთში

ხანკოუ, 22 მარტი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ჩრდილო უბანზე გრძელდება დიდი ბრძოლები. იაპონიის სარდლობამ ამ ფრონტზე თავი მოუყარა ქვეითი ჯარის დიდძალ ნაწილებს, რომლებსაც დახმარებას უწევენ მექანიზებული ნაწილები და ავიაცია, რის შემდეგ 20 მარტს მარჯვენა ფლანგიდან შემოუარა ჩინეთის ნაწილებს ლიხჩენთან. მანამდე იაპონელებს დაკავებული ჰქონდათ ტენსიახი, ლიხჩენის ჩრდილოეთით. ბრძოლა გრძელდებოდა ამ პუნქტებს შუა და ერთსადაიმავე დროს ლიხჩენთახ, რომელიც დაახლოებით ერთი დღეღამეა, რაც იაპონელებს უჭირავთ. დამხმარე ძალების მოსვლის შემდეგ ჩინეთის ჯარებმა განდევნეს იაპონელები ლიხჩენიდან და ახლა ალყა შემოარტყეს იაპონელთა მიერ დაკავებულ ქალაქ ისიანს (ლიხჩენის აღმოსავლეთით). უკანასკნელი ოპერაციების შედეგად შეიქმნა ფრონტის ტეხილი ხაზი, უმთავრესად დიდი არხის გასწვრივ, ძიასინიდან (ჩრდილოეთით) ისიანამდე (სამხრეთით). მარცხენა ფლანგზე ჩინეთის ჯარები წარმატებით გადადიან კონტრშეტევაზე. რკინიგზის დასავლეთით ჩინეთის ჯარები გადაეიდნენ დიდი არხის მარჯვენა ნაპირზე და იერიში მიიტანეს ქალაქ სიასიანზე (ძინინის დასავლეთით).

დასტურდება ცნობები, რომ პარტიზანებმა იაპონელთა ზურგში დაიკავეს ქალაქი იშუი (შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში). მდინარე იხეს ორივე ნაპირი გაწმენდილია იაპონიის რაზმებისაგან. ჩინეთის ჯარებმა ხელთ იგდეს ბეგოჯენი, იჯოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით 75 კილომეტრის მანძილზე და განაგრძობენ იანთონა-ბანპუს ნაწილების დამარცხებას ლინის რაიონში, შანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში.

შანხის პროვინციაში იაპონიის ჯარები იხევენ მდინარე ხუანხეს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

ხენანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში ჩინეთის ჯარები ანვითარებენ ოპერაციებს ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზის აღმოსავლეთით. დასტურდება ცნობები, რომ ჩინეთის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ლინბაო, ვენსიანი, დასკოუ და ნეიხუანი.

ცენტრალურ ჩინეთში

შანხაი, 22 მარტი (საკდესი). ჩეძიანის პროვინციის ჩრდილო ნაწილში ჩინელთა ნაწილები, რომლებიც შეტევაზე არიან გადასული, უახლოვდებიან ხანჯოუს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. ერთსადაიმავე დროს პარტიზანებმა გაანაღეს მოქმედება თვით ქალაქის მიდამოებში. ამ დღეებში პარტიზანულმა რაზმმა იერიში მიიტანა იაპონელთა ნაწილის წინააღმდეგ ქალაქიდან სამი კილომეტრის მანძილზე. ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად იაპონელებმა დაჭკარგეს 400 კაცი.

გაადორებული ბრძოლა სწარმოებს სიაოფინის (ხანჯოუს ჩრდილო-დასავლეთით) რაიონში. ჩინეთის ჯარები გაიფორებით იგერიებენ იაპონელთა იერიშებს ქალაქზე. დიდი ბრძოლა სწარმოებს აგრეთვე ანძის მახლობლად. სიუანჩინის მახლობლად მოგერიებულ იქნა იაპონელთა შეტევა. მთელი რაიონი სიუანჩინიდან დაწყებული გუანდემდე გაწმენდილია იაპონელებისაგან.

დაძაბული შინაპოლიტიკური მდგომარეობა ინგლისში

ლონდონი, 21 მარტი (საკდესი). („პრავდის“ საკ. კორ.).

ხუთშაბათს, 24 მარტს, ჩემბერლენი თემთა პალატაში გამოვა განცხადებით ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მოელიან უაღრესად ცხარე კამათს.

23 მარტს მთავრობის სხდომაზე განხილულ იქნება ჩემბერლენის დეკლარაცია.

ზემოქმედება პრემიერზე ოპოზიციისა და კონსერვატორთა ზოგიერთი წრეების მხრივ, რომლებზეც ევროპის უკანასკნელმა ამბებმა გარკვეულად გამაფხიზლებელი გავლენა მოახდინეს, გამოიხატა აგრეთვე იმაში, რომ ჩემბერლენი იძულებული გახდა შეერთებოდა საფრანგეთის პროტესტს მეამბოხეთა წინააღმდეგ. დღეს ცნობილი შეიქნა, რომ საფრანგეთმა და ინგლისმა გენერალ ფრანკოს გაუგზავნეს სასტიკი პროტესტი ბარსელონის ბომბარდირების წინააღმდეგ. საპროტესტო ნოტაში ნათქვამია, რომ მეამბოხეთა იერიშები მშვიდობიან ქალაქებზე ეწინააღმდეგება არა მარტო კაცობრიობის კანონებს, არამედ საერთაშორისო წესრიგსაც.

მაგრამ ჩემბერლენის ამ დათმობას ოპოზიციისადმი ჰალატაში და თავისი საკუთარი პარტიისადმი, ცხადია, არ გაუქარწყლებია პოლიტიკური დაძაბულობა მთავრობის წრეებში. მითქმა-მოთქმა მთავრობის მოახლოებულ კრიზისზე არ სწყდება.

ლეიბორისტული პარტია ახლა განიხილავს საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ მან იძულებული გახადოს კონსერვატორები შესცვალონ თავიანი პოლიტიკა, განსაკუთრებით ესპანეთის მიმართ, რისთვისაც ჰპირდება თანამშრომლობას ახალ „ნაციონალურ“ მთავრობასთან, რომელშიც რასაკვირველია, ჩემბერლენი არ უნდა შედიოდეს.

გამოვიდა რა გუშინ ლეიბორისტთა დიდ მიტინგზე ლონდონში, ლეიბორისტთა ერთერთმა ლიდერმა ჰერბერტ მორისონმა განაცხადა: „პოლიტიკურ წრეებში განიხილავენ სხვადასხვა კომბინაციას—რა მთავრობა შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევისათვის, თუ პრემიერი გადადგება“.

მორისონის სიტყვით, ლეიბორისტთა პარტია გარკვეული პირობებით დასთანხმდებოდა ეთანამშრომლნა ახალ ნაციონალურ მთავრობასთან. ეს პირობებია დაახლოებით საბჭოთა კავშირთან და სხვა ქვეყნებთან, რომლებიც კი ნამდვილად იბრძვიან მშვიდობიანობისათვის, აგრეთვე ბრიტანეთის პოლიტიკის შეცვლა ესპანეთის მიმართ.

მასობრივი დაკავშირებები ავსტრიაში

პრაღა, 22 მარტი (საკდესი). „ლიდოვე ნოვინი“ იუწყება, რომ გესტაპოს (გერმანიის საიდუმლო პოლიციის) აგენტები ვენაში გულდასმით სინჯავენ ავსტრიის ყველა სამინისტროს არქივებს, აგრეთვე პოლიციის არქივებს. ავსტრიის სწრაფად დაპყრობამ ხელი შეუწყო იმას, რომ შუშნიგის მთავრობის უკანასკნელი პერიოდის ყველა დოკუმენტი სავსებით დაცული აღმოჩნდა. არქივების გადათვალიერება სწარმოებს ავსტრიის სახელმწიფო დაწესებულებათა კიდევ უფრო ფართოდ „წმენდის“ მიზნით. ჰფიქრობენ, რომ დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან გააძევებენ ყველა იმათ, ვისგანაც „არ არის მოსალოდნელი ახალი რეჟიმისადმი ლოიალური დამოკიდებულება“.

„პრავო ლიდუს“ კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰიტლერის განკარგულებით ავსტრიის არმიის სამხედრო ნაწილებიდან „გაძევებულ“ იქნა 231 ოფიცერი, მათშორის ფელდმარშალი ცენერი, არმიის ყოფილი გენერალური ინსპექტორი ჩილკაშკი, აგრეთვე დივიზიისა და ბრიგადის მთელი რიგი გენერლები. „ჩესკე სლოვო“ იუწყება, რომ ავსტრიიდან კვლავ გარბიან. ცნობილი კომპოზიტორი ოსკარ შტრაუსი ვენიდან გაიქცა საზღვარგარეთ. მთელ მის ქონებას კონფისკაცია უყვეს. „რუდე პრავო“ იუწყება, რომ დაპატიმრებათა ტალღა სულ უფროდაუფრო იზრდება. რამდენიმე დღის წინათ ავსტრიაში დაპატიმრებული იყო 12 ათასი კაცი, ამჟამად არის 25 ათასზე მეტი დაპატიმრებული.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა სოფლად

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1937 წ. თებერვალ-მარტის პლენუმზე ამხანაგი სტალინი აფრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს სამეურნეო კამპანიებით ცალმხრივი გატაცებისაგან, პარტიულ-პოლიტიკური საკითხთა შეუფასებლობისა და დაგვიწყებისაგან. „თვით სამეურნეო წარმატებანი, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა მთლიანად და სავსებით დამოკიდებულია პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებზე“.

უკანასკნელი დროის ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ძლიერ ბევრი საოსფლო რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა არ გამოიტანეს სათანადო დასკვნები ამხანაგ სტალინის ამ მითითებებიდან. ამზადებდნენ რა საგაზაფხულო თესვისათვის თესლეულს, მანქანებსა და იარაღებს, მათ თავი მიანებეს კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს შორის პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას. ამით დარღვეულია ჩვენი პარტიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს მასებთან მეტად მჭიდრო მუდმივ კავშირში, მასების პოლიტიკური განათლების მხრივ დაუცხრომელ მუშაობაში, ბოლშევიზმის სულისკვეთებით მათს აღზრდაში. მასებში პოლიტიკური მუშაობის დავიწყებამ იქამდე მიგვიყვანა, რომ აქ რაიონებში თვით თესვისათვის მზადება არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის შესუსტება არაფრით არ შეიძლება გამართლდეს. უმთავრესი, რასაც ამ მუშაობის ორგანიზაცია და მოწესრიგება მოითხოვს — ეს არის ადამიანთა შემოწმებული კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი პარტიის სიტყვა კოლმეურნე მასების სიღრმეში შეიტანონ. არის თუ არა სოფლად ეს კადრები? დიაღ, არის. ესენი, უწინარეს ყოვლისა, არიან კომუნისტები, კომკავშირელები, თანამგრძნობნი, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ არა მარტო ისინი!

სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების კამპანიამ გვიჩვენა, თუ რა შესანიშნავი უპარტიო აქტივის ფართო ფენით არის გარემოცული ჩვენი პარტია. საარჩევნო კამპანიის დროს ათეული ათასობით გამოველინდნენ უპარტიო კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც მასებში ოსტატურად ეწეოდნენ უდიდეს საagიტაციო მუშაობას. ეს კადრები შეადგენენ ადამიანთა ოქროს ფონდს, რომელსაც, თუ კი სწორად გამოვიყენებთ, სასწაულების მოხდენა შეუძლია.

ბევრმა პარტიულმა ორგანიზაციამ დაჰფანტა ამ აქტივისტთა კადრები. ამას წინათ გამოკვლეულ იქნა ორჯონიკიძის მხარის ნოვოალექსანდროვსკის რაიონის მასობრივი საagიტაციო მუშაობის მდგომარეობა. პარტიის სამხარეო კომიტეტი იძულებული იყო აღენიშნა, რომ „სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში ცენტრალური ფიგურაა სოფლად ძირეულ საagიტაციო კადრებს შორის. მასთან მუშაობა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. სწორედ ამას ვერ ვხედავთ ხშირად.

პარტიული ორგანიზაციები ცუდად იცნობენ საკოლმეურნეო წამკითხველებს, ცუდად მუშაობენ მათთან, ხშირად ფორმალურად უღგებიან მათს გამოყოფას. ორიოლის ოლქის კრასნოზორენსკის რაიონის კოლმეურნეობა „პროლეტარიატის გამარჯვება“ კოლმეურნეთა რეგულარულად იკრიბებიან გაზეთის წასაკითხავად, მაგრამ არა იმასთან, ვინც წამკითხველად არის გამოყოფილი ფორმალურად, არამედ სხვასთან, რიგითს კოლმეურნესთან, რომელსაც კარგი წაკითხვაც შეუძლია და ზოგი რამის განმარტებაც. სწორედ ეს კოლმეურნე არ ირიცხება წამკითხველთა სიაში.

პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გატარების ცენტრალური ადგილი უნდა გახდეს ბრიგადა, რგოლი, სატრაქტორო რაზმი, აგრეგატი. სწორედ აქაა იმის შესაძლებლობა, რომ მთელი სისრულით მოვიცვათ ბოლშევიკური გავლენით კოლმეურნეთა მასები, შევისწავლოთ მათი მოთხოვნილებანი და ინტერესები და საუკეთესოდ მოვაწყოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მინდვრის სამუშაოზე ბრიგადების გასვლის შემდეგ მთელი პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა გადატანილ უნდა იქნას მინდვრად. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს გამოვიგონოთ ამ პერიოდისათვის მუშაობის რაიმე განსაკუთრებული ფორმები. გაზეთის ხმამაღლა კითხვა, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები — აი კოლმეურნეთა ფართო მასებისათვის ყველაზე უფრო მისაწვდომი და ქმედითი ფორმები პოლიტიკური მუშაობისა, რომლებმაც სავსებით გაამართლეს თავისი თავი. უწინარეს ყოვლისა სწორედ ისინი უნდა იქნას ფართოდ გამოყენებული.

მაგრამ მუშაობის მინდვრად გადატანა სრულიადაც არ გამორიცხავს ამავე დროს მუშაობის გაძლიერებას კოლმეურნეობების იმ წევრებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან, რომლებიც სოფლად და მეურნეობაში რჩებიან. საგაზაფხულო თესვის დროს მინდვრად ხომ კოლმეურნეთა მხოლოდ ნაწილი მუშაობს, მნიშვნელოვანი ნაწილი კი სოფლად რჩება.

ცენტრალურ კულტურულ კერას სოფლად ჭოხ-სამკითხველო წარმოადგენს. კლუბები და ჭოხ-სამკითხველოები 63 ათასზე მეტი ირიცხება, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. გასული წლის უხმო მოსავალმა კოლმეურნეობათა ზოგი უზომოდ ფიცხი ხელმძღვანელი ააგულიანა საკოლმეურნეო კლუბები და ჭოხ-სამკითხველოები ზოგან მარცვლეულის საწყობებად გადაქცია. ასეთი ფაქტები შეიძლება აღვნუსხოთ ვორონეჟის ოლქში, ორჯონიკიძის მხარეში და ზოგიერთ სხვა ადგილსაც. ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ ეს უდიდეს ზიანს აყენებს პოლიტიკურ-მასობრივ მუშაობას სოფლად.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იქ, სადაც ჭოხ-სამკითხველო არ არის, არ შეიძლება მოეწყოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს კოლმეურნე-აგიტატორებმა იპოვნეს ისეთი ფორმა, რომელმაც საშუალება მოგვცა რაც შეიძლება უფრო სრულად მოვიცვათ მოსახლეობა პარტიული გავლენით. ეს არის მუშაობა ათეულ და ოცეულ კომლებში. ეს ფორმა სრულებით დაუმსახურებლად დავიწყებულია ახლა მრავალ რაიონში. მისი აღდგენა უფლებებში საჭიროა დაუყოვნებლივ და ყველგან.

ჩვენი ცხოვრება, მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ, უმდიდრეს მასალას იძლევიან პოლიტიკური მუშაობისათვის მასებში, რომელიც უნდა იყოს მიზანსწრაფული, გეზმიმართული. ჩვენ სრულებითაც არ გვესაჭიროება ხმამაღლა კითხვა ხმამაღლა კითხვისათვის, საუბარი საუბრისათვის, იმისათვის, რათა სტატისტიკურ შეჯამებაში დიდი ციფრები აღინიშნოს. ჩვენ ისეთი პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა გვესაჭიროება, რომელიც ამაღლებდა კოლმეურნეთა მასების და საბჭოთა მეურნეობების მუშების სიფხიზლეს, რომელიც ხელს შეუწყობდა მასების პოლიტიკურ განათლებას, დაეხმარებოდა სოციალისტური მოძრაობის დროშის მაღლა აწევას, დაეხმარებოდა საწარმოო გეგმების შესრულებასა და სოციალისტური სოფლის მეურნეობაში ახალ წარმატებათა მიღწევას. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება იგი ნაყოფიერი და სასარგებლო პარტიისათვის, საკოლმეურნეო წყობილებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოსათვის.

კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები განსაკუთრებით დიდ ინტერესს იჩენენ იმ ამბებისადმი, რომლებიც მსოფლიოში ხდება, და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საკითხებისადმი. ახლო ხანში უნდა მოხდეს საკავშირო რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოთა არჩევნები. ყოველივე ეს გვავალებს განსაკუთრებით ფართოდ გავშალოთ პოლიტიკური მუშაობა მას

უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ

გულმოდგინებით განვუმარჯვოთ მასებს

ქუთაისის რაიონში უკვე დაიწყო მზადება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ქუთაისის მშრომელები განსაკუთრებული ინტერესით იხილავენ და სწავლობენ საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას. კომკავშირის ქუთაისის ქალაქკომმა კომკავშირის სასოფლო პირველად ორგანიზაციებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად საქართველოს კონსტიტუციის და უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის მიზნით მიამაგრა 40 კომკავშირელი აგიტატორი. ქუთაისის რაიონის 895 კომკავშირელ-აგიტატორმა ფართოთ გაშალა მუშაობა თავიანთ ობიექტებზე. სისტემატურად ეწყობა აგიტსემინარები და სხვ.

ამის წინათ მოწვეულ იქნა კომკავშირის ქალაქის და სოფლის პირველადი ორგანიზაციების მდივნების ინსტრუქტორი, სადაც დასახული იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი მოსამზადებელი მუშაობის უკეთ ჩატარების მიზნით.

ჯ. სადიკოვი

სოხუმის რაიონი ემზადება არჩევნებისათვის

(სოხუმი, საქ. კორ.)

სოხუმის რაიონის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ახალი საარჩევნო კანონის შესწავლის მიზნით რაიონში მუშაობა დაიწყო 504 წრემ. ახალი წრეების შექმნა გრძელდება. მშრომელნი სიხარულით სწავლობენ არჩევნების დებულებას.

3მ დღეებში ჩატარდა რაიონული აქტივის თათბირი, რომელმაც განიხილა უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების სამუშაო გეგმა და დასახა პრაქტიკული ღონისძიებები დებულების შესწავლის სანიმუშოდ დაყენებისათვის.

დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელებად გამოყენებულნი არიან როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელები, ისე ის აქტივი, რომელმაც თავი გამოიჩინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში.

გ. მერკვილაძე.

არჩევნებისათვის მზადება დაიწყო

(ზუგდიდი, საკუთარი კორესპონდენტისაგან).

„საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ გამოქვეყნებამ მშრომელთა მასების ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა. ზუგდიდის რაიონში 3 მარტიდან დაიწყო არჩევნებისათვის მზადება. საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი „საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ შესწავლა - განმარტების შესახებ. რაიკომის ბიუროს დადგენილებით რაიონში ჩატარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები, სადაც განხილულ იქნა არჩევნების დებულების მშრომელთა ფართო მასებში ახსნა-განმარტებისათვის საჭირო პრაქტიკული ღონისძიებების საკითხი.

დებულების უკეთ შესწავლის უზრუნველსაყოფად ჩატარდა პროპაგანდისტთა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა საინსტრუქციო თათბირი. ამჟამად პარტიული განათლების მთელ ქსელში ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და ამხანაგ სტალინის მოხსენებას სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ამ მიზნით რაიონის საწარმო-დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში აგიტატორები ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან. მოწინავე აგიტატორებმა — გრ. როგავამ, არ. ხუტარიამ (ჩაის ფაბრიკა), მ. ქარჩავამ (ჯოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობა), ქ. კოდუამ, ვ. ჯანელიძემ (ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა), ოლია ჟვანიამ, ლ. შენგელიამ (საგრენაჟო ფაბრიკა) და სხვ. საუკეთესოდ გაშალეს მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონის ფართოდ განმარტებისათვის.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებთან, ფაბრიკებთან, ქარხნებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან ეწყობა დებულების შემსწავლელი წრეები, დღემდე მოწყობილია 416 წრე 9670 მსმენელით, წრეების ხელმძღვანელებად შერჩეული არიან სათანადოდ მომზადებული და პოლიტიკურად შეიარაღებული პროპაგანდისტები. დაწესებულია წრეების მეცადინეობის დღეები. მეცადინეობა თვეში იწარმოებს 7-ჯერ. წრეების მოწყობა გრძელდება.

პარტკაბინეტებში მოწყობილია პროპაგანდისტთა სემინარები და ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაციები ახალ საარჩევნო კანონზე ახსნა-განმარტების მისაცემად.

სევ. ებრალიძე.

კონკრეტულად ვუხელმძღვანელოთ არჩევნების დებულების შესწავლას

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშათა ათასიანი კოლექტივი დიდი აღფრთოვანებით შეუდგა საარჩევნო დებულების შესწავლას. ჩამოყალიბებულია 18 წრე, რომელშიაც გაერთიანებულია 1000 კაცი. დაწესებულია სამეცადინო დღეები.

წრეების ხელმძღვანელებად გამოყოფილი არიან ძველი გამოცდილი აგიტატორები. მეცადინეობა ხანისიანად და მიმზიდველად ტარდება. აგიტატორები ხშირად უყვებიან მსმენელებს წყეული წარსულის შემაძრწუნებელ ეპიზოდებს. აგიტატორებიდან კარგი მუშაობით გამოირჩევიან ამხ. ი. ნასეკანი, ხ. გაგნიძე, მ. დაცკო, ა. ჰანტურია, ე. ჩხაიძე და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულ ორგანიზაციას 15 მარტამდე დაუწყია წრეების მეცადინეობა, თუმცა საარჩევნო დებულების გამოქვეყნების დღიდან საკმაოდ დიდმა ხანმა განვლო. ჩამოყალიბებულ 18 წრეში 1000-ზე მეტი მსმენელია გაერთიანებული, ე. ი. თვითეულ წრეში 55—60 კაცი ირიცხება. ეს კი, რა თქმა უნდა, გავლენას მოახდენს შეთვისების ხარისხზე. ცხადია, წრეების რაოდენობა უნდა გადიდდეს. პარტკომის მდივანს არ მოეპოვება ზუსტი ცნობა იმის შესახებ, თუ თითო წრეში რამდენი მსმენელია გაერთიანებული.

საორთქლმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ უფრო კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო დებულების შესწავლის საქმეს.

ელ. უბილავა.

მკერაველები სწავლობენ არჩევნების დებულებას

თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ კარგად მოჰკიდა ხელი საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლას.

28 თებერვალს პარტკომის მდივანმა ამხ. ფ. ქარუმიძემ მოიწვია აგიტატორების, პროპაგანდისტების, საამქროების უფროსებისა და ფაბრიკის აქტივის თათბირი, სადაც გააცნო მათ, თუ როგორ უნდა ჩატარდეს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლა.

ფაბრიკაში ჩამოყალიბდა დებულების შემსწავლელი 22 წრე (ქართულ, რუსულ და სომხურ. ენებზე) 897 მსმენელით. პირველი მეცადინეობა გაიმართა 28 თებერვალს.

ღასანიშნავია, რომ წრეების ყველა პროპაგანდისტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრეების ხელმძღვანელთა საინსტრუქციო თათბირი. ამჟამად პარტიული განათლების მთელ ქსელში ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებას“, საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და ამხანაგ სტალინის მოხსენებას სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ამ მიზნით რაიონის საწარმო-დაწესებულებებში აგიტატორები ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევიან. მოწინავე აგიტატორებმა — გრ. როგავამ, არ. ხუტარიამ (ჩაის ფაბრიკა), მ. ქარჩავამ (ჯოლეჯიანის საბჭოთა მეურნეობა), ქ. კოდუამ, ვ. ჯანელიძემ (ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობა), ოლია ჟვანიამ, ლ. შენგელიამ (საგრენაჟო ფაბრიკა) და სხვ. საუკეთესოდ გაშალეს მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალი კანონის ფართოდ განმარტებისათვის.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებთან, ფაბრიკებთან, ქარხნებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან ეწყობა დებულების შემსწავლელი წრეები, დღემდე მოწყობილია 416 წრე 9670 მსმენელით, წრეების ხელმძღვანელებად შერჩეული არიან სათანადოდ მომზადებული და პოლიტიკურად შეიარაღებული პროპაგანდისტები. დაწესებულია წრეების მეცადინეობის დღეები. მეცადინეობა თვეში იწარმოებს 7-ჯერ. წრეების მოწყობა გრძელდება.

პარტკაბინეტებში მოწყობილია პროპაგანდისტთა სემინარები და ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაციები ახალ საარჩევნო კანონზე ახსნა-განმარტების მისაცემად.

სევ. ებრალიძე.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მასობრივ თესვას

როგორ ხვდებიან გაზაფხულს მოლოდოველები

(ქოგბულეთი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

მოლოტოველებს მაღალი მოსავლიანობისათვის ბრძოლის გამოცდილება აქვთ. მათი მუყაითობისა და გულმოდგინე მუშაობის შედეგია, რომ არათუ ქობულეთის, არამედ მთელი რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა რიგებში დგას სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარებით, აგროტექნიკის დაუფლებით, სამუშაოთა ვადების მტკიცედ დაცვით, ნამუშევარის მაღალი ხარისხის მიღწევით, სოცშეჯიბრების მაღალ საფეხურზე აყვანით მათ არაერთხელ უსახელებიათ თავი მაღალი მოსავლიანობის მიღწევის საქმეში.

ის ფაქტი, რომ მოლოტოველებმა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის კანდიდატის უფლება მოიპოვეს, უდავოდ ადასტურებს ნათქვამს. ისინი მოსკოვის საგამოფენო პავილიონს დაამშვენებენ ჩაის თვალწარმტაცი ბუჩქებით და სიმინდის უზარმაზარი ტაროებით. მათ ბევრად გადააჭარბეს გამოფენაზე მონაწილეობისათვის დაწესებულ ყველა ნორმას. გასულ წელს ჰექტარზე მოჰკრიფეს 3.688 კილო ჩაის ფოთოლი, სიმინდის მოსავლიანობა ჰექტარზე გაადიდეს 15-ნახევარ ცენტნერამდე.

მომდინარე წლისათვის ისინი კიდევ მეტ ბარაქას გვპირდებიან საკოლმეურნეო მინდვრებიდან. გასულ წელთან შედარებით მათ მუშა-ხელიც მეტი ჰყავთ. მათ შეუერთდა საბჭოთა აჭარის სახელობის კოლმეურნეობა.

მოლოტოველების წინაშე მეტად პასუხსაგები ამოცანები დგას გაზაფხულთან დაკავშირებით. მათ წინ უდგათ დიდი სამუშაოები, რომელთა მნიშვნელობის შეგნებით გამსჭვალულან ისინი და ფართოდ გაუშლიათ მზადება.

მათ მტკიცედ სჯერათ, რომ გამარჯვებული გამოვლენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრებაში კი ქობულეთის ყველა კოლმეურნეობა ჰყავთ გამოწვეული გაზაფხულისათვის უკეთესად მომზადებაში.

ასი ჰექტარი სიმინდის ყანა ექნებათ წელს მოლოტოველებს. სათესლე სიმინდი მათ უკვე დიდი ხანია გადარჩეული, შემოწმებული და საგულდაგულოდ შენახული აქვთ. 45 სული მუშა-პირუტყვი საუცხოო მდგომარეობაშია, მაგრამ მაინც გაძლიერებულ კვებაზე ჰყავთ. 60 ჰექტარი უკვე მოხნული აქვთ სიმინდისათვის. დანარჩენ ფართობს ახალი, შემოწმებული ტრაქტორი გამალებით ღრენის, ორიოდე დღე და სულ მოათავებენ ხვნას.

მოლოტოველებს საკმაოდ დიდი ვალდებულება აქვთ ციტრუსების ახალი პლანტაციების გაშენების მხრივ. წელს ისინი 43 ჰექტარზე ციტრუსების ახალ პლანტაციას აშენებენ. ამოძირკვა, ორმოების ამოღება, ნახევარ-ტერასების გაყვანა, ნიადაგის მთლიანად მომზადება შესრულებულია 40 ჰექტარზე. ზე. დარჩენილ 3 ჰექტარზე გახურებული მუშაობა გაჩაღდა თოვლის აღებისთანავე.

მათ უკვე მზადა აქვთ 11.000 ძირი ნერგი, დანარჩენს სოცშეჯიბრების ხელშეკრულების თანახმად ღებულობენ მეზობელი კოლმეურნეობიდან. ეს მეზობელი კი არის მილიონერი—ვორონცოვოს სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც უხვად აქვს ციტრუსების ნერგები. ასე, რომ ნერგი მოლოტოველებს გარანტირებული აქვთ.

სასუქის მხრივ ერთგვარი შეფერხება აქვთ მოლოტოველებს. 1.200 ტონა ნაკელი უნდა შეიტანონ ნიადაგში. მზად აქვთ 600 ტონა. დანარჩენს დაპირებულია ჩაის სექცია, ჯერ ეს დაპირებაა მხოლოდ, რეალური კი არაფერი სჩანს. საფრთხე მოელის ნიადაგში სასუქის შეტანის საქმეს. კოლმეურნეობის სამივე ავტომანქანა გაჩერებულია უშინობის გამო. ამიტომ სასუქი ვერ მიუზიდავთ დანიშნულების ადგილას.

ჩაის ბუჩქებს სტაბანოველები თვალისჩინივით უვლიან. ამჟამად გაცხოველებული მუშაობაა ჩაის გასხვლა-ფორმირებაზე და პირობას სდებენ, რომ პირველ აპრილამდე დაამთავრებენ ამ სამუშაოს.

მოლოტოველები მუდამ გამარჯვებულნი გამოდიოდნენ შეჯიბრებაში და ეჭვი არ არის, რომ სტალინური მესამე ხუთწლედის პირველ გაზაფხულსაც ახალი გამარჯვებით აღნიშნავენ.

საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობა

(რედაქციაში შემოსული ცნობების მიხედვით)

მალე მასობრივი საგაზაფხულო თესვა უნდა გაჩაღდეს. ადგილებიდან მიღებული კორესპონდენციებით კი ირკვევა, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები მოუმზადებელი ხვდებიან თესვას და საერთოდ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მასობრივად გაშლას.

— ბორჯომის რაიონის სოფ. დიდი-მიტარბის კოლმეურნეობას, — გვწერს სოფლკორი ე. ორჯონიკიძე,—აკლია 40 ცენტნერი თესლი. ამ კოლმეურნეობაში გამგეობის თავმჯდომარის ე. თვაურის უყურადღებობით დალპა 2.300 კილოგრამი ჯიშიანი კარტოფილის თესლი, რომელიც სხვა რაიონიდან იყო შემოზიდული.

უყურადღებობისა და დაუდევრობის ფაქტებზე ამავე რაიონიდან იწერება აგრეთვე სოფლკორი ი. ფატარიძე.

.— გვერდისუბნის კოლმეურნეობას, — იტყობინება ი. ფატარიძე, —ჯერაც არ დაუმთავრებია სათესლე მასალის გაწმენდა. მასვე აკლია 13 ცენტნერი ხორბლისა და 8 ცენტნერი ქერის თესლი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. ჯიკაევს მოსავალი ისე გაუნაწილებია, რომ საკმაო რაოდენობით არ გამოუყვია სათესლე მასალა. კოლმეურნეობას —დასძენს სოფლკორი—27 სული მუშა-პირუტყვი ჰყავს. ცუდი კვებისა და მოვლის გამო აქედან 9 სული ისე დაუძლურებულა, რომ ხვნა-თესვაში მათი გამოყენება შეუძლებელი გახდება. მუშა-პირუტყვის ბოსელი უსუფთაო, ბნელი და ნესტიანია.

— გუთნებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი მანგლისის კოლმეურნეობებს ჯერ არ დაუმთავრებიათ. შემკეთებელი სახელოსნოები და სოფლის სამჭედლოები,—გვწერს ბ. ფიჩხანაშვილი, — ბევრგან სრულიად მოუწყობელია. ზოგიერთ მათგანს არ გააჩნია ისეთი აუცილებელი ხელსაწყოც კი, როგორიცაა ჩაქუჩი, არაფერი არ ვიცი, — განაცხადა ხაჭაპურიძემ.

აღნიშნული ნაკლოვანებანი შედეგია რაიაღმასკომების, ქალაქის საბჭოებისა და მათი განყოფილებების არაკონკრეტული დახმარებისა სოფლსაბჭოებისადმი.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების საფუძველზე უნდა გავშალოთ მოსამზადებელი მუშაობა, ავამოძრაოთ საბჭოების სექციები და სადეპუტატო ჯგუფები, მათ მუშაობაში ჩავაბათ საბჭოების ახალი აქტივი, ფართედ გავშალოთ ამომრჩეველთა შორის მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა, ღრმად შევისწავლოთ და თვითეულ ამომრჩეველს შევასწავლოთ საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია და უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება. რაიაღმასკომებმა და სასოფლო საბჭოებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ დიდი სტალინის მრთითებანი ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა ფხიზლად ვადევნოთ თვალი და დროზე აღვკვეთოთ ხალხის მტრების ყოველგვარი ცდები — გამოიყენონ ჩვენი საარჩევნო კამპანია თავიანთი შავბნელი ზრახვების განსახორციელებლად.

დარჩენილი დრო რაიაღმასკომებმა, ქალაქისა და სოფლის საბჭოებმა, სექციებმა და სადეპუტატო ჯგუფებმა სათანადოდ უნდა გამოიყენონ, ბოლშევიკურად უნდა გაშალონ მასობრივ - პოლიტიკური მუშაობა ორდენოსანი საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

საქ. სსრ შინსაბჭომის საბჭოთა მეურნეობის (ნავთლული) კომკავშირული კომიტეტის მდივანი ამხ. კ. პეტროვა ამეცადინებს სარძეო ფერმის მე-4 და მე-5 ბრიგადების მუშა-ქალებს თემაზე: „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“. ფოტო შმელიოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

საბჭოების არჩევნების დებულების შესწავლა

ბ. ჩარქვიშვილი საქ. ცაკ-ის ინსტრუქტორი

ვეფხვაძოთ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის

საქართველოს ცაკ-ის მე-7 მოწვევის IV სესიამ მიმდინარე წლის 25 თებერვლის სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება.

ამ დებულების საფუძველზე აქედანვე უნდა გაიშალოს პრაქტიკული მუშაობა, რათა ბოლშევიკურად ჩავატაროთ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს სასოფლო საბჭოებმა, ქალაქის საბჭოებმა და რაიაღმასკომებმა სათანადო გამოცდილება მიიღეს არჩევნების პოლიტიკური, ორგანიზაციული და ტექნიკური ამოცანების გადაჭრის საქმეში. ამ ამოცანათა ბოლშევიკურად გადაჭრისათვის საბჭოთა ძირეულ ორგანოებს უდიდეს დახმარებას უწევდა საბჭოთა აქტივი, რომელიც მთელი ენტუზიაზმით და ენერგიით იბრძოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის. საბჭოთა ამ აქტივის საშუალებით მიღწეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე ამომრჩეველთა 96,9 პროცენტით გამოცხადება საარჩევნო ყუთებთან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შემდეგ სამმა თვემ განვლო. ეს პერიოდი საბჭოთა ძირეულმა ორგანოებმა ფართოდ გამოიყენეს საბჭოთა აქტივთან მუშაობის გაორმაგებისა და მათი საბჭოების გარშემო შემოკრებისათვის.

მთელმა რიგმა სასოფლო საბჭოებმა უდიდესი მუშაობა ჩაატარეს საბჭოთა აქტივთან მუშაობის გაძლიერებისათვის. ამ ახალი აქტივის რიგებიდან მრავალი აქტივისტი იქნა დაწინაურებული საპასუხისმგებლო პარტიულ და საბჭოთა სანუშაოზე.

ხაშურის რაიონში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს გამოვლინებულ იქნა 700-მდე აქტივისტი. არჩევნების დამთავრების შემდეგ რაიაღმასკომმა რაიკომთან ერთად მოიწვია აქტივის რაიონული თათბირი. რომელზედაც განხილულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებანი და აქტივის მორიგი მუშაობის ამოცანები. აქტივთან პერიოდულად ატარებენ სემინარებს და მათი მეშვეობით გაშლილია საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა.

ამ რაიონის სურამის სასოფლო საბჭოს აღრიცხული ჰყავს სულ 63 კაცი. თვითეული მათგანი მიმაგრებულია მოსახლეობის განსაზღვრულ რაოდენობაზე საagიტაციო - საპროპაგანდო მუშაობისათვის. აგიტატორმა ონისიმე დანელიამ მასზე მიმაგრებულ მოსახლეობას ფართოდ გააცნო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ეიხეს მოხსენება, ესპანეთისა და ჩინეთის ხალხთა გმირული ბრძოლების ამბები, ამხანაგ სტალინის პასუხი ივანოვსადმი და სხვ.

აქტივთან მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევა აგრეთვე ხაშურის ქალაქის საბჭო. იგი ხშირად იწვევს აგიტატორ-აქტივისტთა თათბირებს, მათ წინასწარ აცნობს სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს და ამოწმებს მიცემულ დავალებათა შესრულებას.

მაგრამ აქტივთან მუშაობის ასეთ მაგალითებს ყველა რაიაღმასკომები და სასოფლო საბჭოები როდი იძლევიან. ზოგიერთ რაიაღმასკომსა და სასოფლო საბჭოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დამთავრების შემდეგ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ არჩევნების დროს გამოვლინებული ახალი აქტივის შენარჩუნებისა და საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმისათვის.

თელავის რაიონში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს აგიტატორებად 400-მდე კაცი მუშაობდა. არჩევნების ჩატარების შემდეგ რაიაღმასკომს არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ აქტივთან მუშაობისათვის, საბჭოების მუშაობაში მათი ჩაბმისათვის. შესწავლილი არა აქვთ და არ იცნობენ იმ საუკეთესო აქტივს, რომელთაც არჩევნების ჩატარების დროს საუკეთესო თაოსნობა და უნარი გამოიჩინეს. დღემდე არ მოუწვევიათ და არ ჩაუტარებიათ საბჭოთა აქტივის რაიონული და სასოფლო თათბირები. რაიაღმასკომს სასოფლო საბჭოებისათვის დღემდე არ მიუცია მითითება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის გადაწყვეტილებათა შესწავლისათვის. ამასთან ერთად საბჭოთა აქტივი ჩაბმული არ არის საბჭოების მასობრივი ორგანოების მუშაობაში.

ასეთივე მდგომარეობაა ყვარლის რაიონშიც. რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოთა აქტივის არაკონკრეტული ხელმძღვანელობის შედეგად საბჭოების სექციები და სადეპუტატო ჯგუფები არ მუშაობენ, სექციები თავიანთი მუშაობით ვერ უპასუხებენ მათ წინაშე დასმულ პასუხსაგებ ამოცანებს.

ზოგიერთ რაიონებში სექციები და სადეპუტატო ჯგუფები მხოლოდ ქალაქდზე არსებობენ.

სტალინირის (სამხრეთ - ოსეთი) ქალაქის საბჭოსთან ჩამოყალიბებულ ექვსი სექციიდან მხოლოდ ორი სექცია მუშაობს. ამ სექციებს მიმდინარე წელს მხოლოდ სამ-სამი სხდომა აქვთ ჩატარებული. 8 სადეპუტატო ჯგუფიდან მარტო სამი მუშაობს.

ქალაქის საბჭო არ იცნობს სადეპუტატო ჯგუფების თავმჯდომარეებს და კონკრეტულ ხელმძღვანელობას ვერ უწევს მათ.

სტამბაში და სარეწაო კავშირის სამკერვალო ქარხანაში ჩამოყალიბებულ სადეპუტატო ჯგუფებს — 1938 წელს არაფერი გაუკეთებიათ. გიორგი კასრაძემ არც კი იცის, რომ ის სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარეა. ქალაქის საბჭოს არც იმ აქტივისათვის მიუქცევია ყურადღება, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს მუშაობდნენ, არ მოუწვევია მათი თათბირები, არავითარი დავალებები არ მიუციათ მათთვის. ეს აქტივი საბჭოთა მასობრივ მუშაობაში არ არის ჩაბმული. ფ. ზარდიაშვილი, ნ. ბოგაევი, გ. ხუხაშვილი და სხვები აცხადებენ: ჩვენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით გამოყოფილი ვიყავით აგიტატორებად. არჩევნების მოსამზადებელი მუშაობის პერიოდში ჩვენ მიმაგრებული ვიყავით ამომრჩეველთა განსაზღვრულ რაოდენობაზე, რომელთანაც სათანადო მუშაობას ვატარებდით, არჩევნების დამთავრების შემდეგ კი ქალაქის საბჭოს ჩვენთვის არავითარი დავალებები არ მოუციათ.

საბჭოების მასობრივი ორგანოების სუსტი მუშაობის მაგალითს იძლევა აგრეთვე ჭიათურის სასოფლო საბჭო. აქ სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობას სასოფლო საბჭო არავითარ დახმარებას არ უწევს. სექციების მუშაობა ჩაშლილია. კოლმეურნეობებთან სადეპუტატო ჯგუფები ფაქტიურად არ არსებობენ. სოფ. ჭიათის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ლ. გელაძემ და კოლმეურნეობის სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარე ლ. ხაჭაპურიძემ არც კი იციან, რომ ისინი სადეპუტატო ჯგუფის თავმჯდომარედ იყვნენ პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული. მე მაგის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარისა

1938 წ. 22 მარტი, ქ. თბილისი.

წყალდიდობის პერიოდში ნიაღვრებთან ბრძოლის სამუშაოთა მომსახურებისათვის მოკლეტალღოვანი რადიოკავშირის სასწრაფოდ მოწყობის მიზნით — **ვბრძანებ:**

§ 1.

გადაეცნენ თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამართველოს კავშირგაბმულობის სექტორის განკარგულებაში ქვემოთდასახელებული რადიომუშაკები:

1. **ნ. მ. ვოიცეკი** — თბილისის რადიო-ცენტრი
2. **პ. ა. მალიკინი** — ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს რადიოჩეული
3. **ს. პ. მაზანიშვილი** — სამტრესტი
4. **გ. კარაპეტიანი** — ა.-კ. კავშირგაბმულობის ინჟინრების ინსტიტუტი
5. **გ. მხითაროვი** — ა.-კ. კავშირგაბმულობის ინჟინრების ინსტიტუტი
6. **ა. ქოჩარიანი** — ცენტრალური ტელეგრაფი
7. **ა. ვრჟოსეკი** — სამტრესტი
8. **ვ. თადუმაძე** — ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს რადიოგანყოფილება
9. **ლ. ქუჩრმიდი** — სამტრესტი.

ჩამოთვლილმა ორგანიზაციებმა ო.ბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს პირველი მოთხოვნისთანავე გაანთავისუფლონ ზემოთაღნიშნული მუშაკები და გადასცენ ისინი თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს განკარგულებაში მათივის ძირითადი განაკვეთისა და ხელფასის სხვა სახეების შენახვით გაზაფხულის წყალდიდობის მთელი პერიოდისათვის.

§ 2.

§ 1-ში აღნიშნული მობილიზებული მუშაკები თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს კავშირგაბმულობის სექტორის მიერ გაწვევისთანავე დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს კავშირგაბმულობის სექტორში ინსტრუქციების მისაღებად და შეუდგნენ მუშაობას.

§ 3.

წყალდიდობასთან ბრძოლის დარგში მუშაობის მომსახურებისათვის რადიოკავშირის პასუხისმგებელ ხელმძღვანელად ინიშნება სამტრესტის რადიოკავშირის უფროსი, ამხ. **ლ. ეფრემიდი** (ბელინსკის ქ. № 2).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული წყალდიდობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის თავმჯდომარე

ს. გოგლიძე.

სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული ფრიადოსნების ერთი ჯგუფი. მარცხნიდან—მარჯვნივ: შუშანა თალაკვაძე, ვლადიმერ მეტრეველი, თინა მელქაძე, სევერიან კობიძე, ლევან ჭაშაკაშვილი, ნადია კრუკა, აკაკი ჭორიძე, ნადია მელიქიშვილი, ქეთო მჭედლიშვილი და ვალერიან ლომაძე.

ეკონომისტთა ახალი კადრები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლობით აწვდის ჩვენს ქვეყანას ეკონომისტების, პედაგოგების, იურისტების, გეოლოგებისა და სხვა კადრებს.

მიმდინარე წლის მარტში უნივერსიტეტის მარტო ეკონომიურმა ფაკულტეტმა გამოუშვა 132 კაცი, რომლებმაც სახელმწიფო გამოცდები ჩააბარეს და ეკონომისტის სახელწოდება მიიღეს.

კურსდამთავრებულთა შორის 27 კაცმა მიიღო პირველი ხარისხის დიპლომი. მოწინავეთა შორის არიან: ს. კობიძე (დაამთავრა ისტორიული და ეკონომიური ფაკულტეტები პირველი ხარისხის დიპლომზე, დატოვებულია ასპირანტად), ა. ჭორიძე, ნ. მელიქიშვილი, ვ. ტრაპაიძე, ივ. გურგენიძე, ნ. კრუკი, შ. დაბრუნდაშვილი, შ. თალაკვაძე, ლ. ჭაშაკაშვილი, კ. გაფრინდაშვილი, თ. მელქაძე, ვ. ლომაძე, დ. გაგნიძე, ქ. მჭედლიშვილი, ნ. გვახავა, ვ. რუხაძე, გრ. ბარნაბიშვილი, ალ. მელაძე, ვლ. მეტრეველი, ი. მკერვალიშვილი, მ. ბარამიძე, ი. თარგამაძე, კ. სტურუა, ი. შავგულიძე, ლ. გორგოშიძე და სხვ.

ამ გამოშვების შედეგები ნათელჰყოფს, რომ განუწყვეტივ იზრდება კურსდამთავრებულთა როგოც რაოდენობა, ისე მომზადების დონე. 1936 წელს სახელმწიფო გამოცდებზე მისულ სტუდენტთა მხოლოდ 36.6 პროცენტმა ჩააბარა გამოცდები, მათ შორის ძალიან ცოტა იყო პირველი ხარისხის დიპლომის მქონეთა რაოდენობა. წელს კი სახელმწიფო გამოცდები ჩააბარა გამოცდებზე მოსულთა 83,5 პროცენტმა. დიდია წარმატება ცალკეული საგნების ჩაბარების მხრივ. წელს კურსდამთავრებული 111 (ამ რიცხვში არ შედიან წინა წლების კურსდამთავრებულნი) კაციდან პოლიტეკონომია „ფრიადზე" 45 კაცმა ჩააბარა, სტატისტიკა — 46-მა, ეკონომიური გეოგრაფია — 39-მა, სამართალი — 61-მა, გეგმიანობა — 23-მა და სხვ.

მიმდინარე წლის ივნისსა და ოქტომბერში თბილისის სახ. უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი კიდევ გამოუშვებს 390 კურსდამთავრებულს, რომელთა შორის 137 სტუდენტი ყველა საგანს ფრიადზე სწავლობს.

კურსდამთავრებულნი განაწილებული იქნებიან სამუშაოზე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ დადგენილი წესით.

წითელდროშოვანი სამხედრო-საინჟინერო სასწავლებლის 20 წლისთავი

ლენინგრადი, (საკადესი). 22 მარტს შესრულდა ლენინგრადის წითელდროშოვანი სამხედრო-საინჟინერო სასწავლებლის არსებობის 20 წელი. სასწავლებელი დაარსდა 1918 წლის 22 მარტს. სამოქალაქო ომის პერიოდში სასწავლებლის კურსანტებმა და მეთაურებმა უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს თეთრგვარდიელ ფინელებთან, იუდენიჩთან, ვრანგელთან და მახნოსთან ბრძოლებში. კურსანტთა გმირობისა და შემაცობისათვის სასწავლებელი დაჯილდოვებულ იქნა საპატიო რევოლუციური წითელი დროშით.

20 წლის არსებობის მანძილზე სასწავლებელში ასობით აღიზარდნენ მეთაურები, რომლებიც ახლა მუშურ-გლეხური წითელი არმიის საინჟინერო ჯარებში იმყოფებიან.

ა. მ. გორკის ხსოვნის საღამო

დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი ლიტერატურულ საღამოს მართავს 28 მარტს მწერალთა სასახლეში.

ალექსი მაქსიმეს-ძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ სიტყვებით გამოვლენ მწერლები შ. ნ. დადიანი, ლეო ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი, შ. რადიანი და პ. ჩხიკვაძე.

პოეტები ს. ეული, ვ. გაფრინდაშვილი, ვ. გორგაძე, ა. ჭუთაოელი, ს. თავაძე, ვ. გაბისკირია და სხვ., წაიკითხავენ დიდი მწერლისადმი მიძღვნილ თავის ლექსებს.

თბილისის კომსერვატორიასთან არსებული სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. მარცხნიდან მარჯვნივ — ლ. შიუკაშვილი (პირველი ვიოლინო), გ. ბარნაბიშვილი (ვიოლონჩელი), ა. პოღოსოვი (მეორე ვიოლინო) და ლ. იაშვილი (ალტი). ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ხელოვნება

„სულელი". პრემიერა რუსთაველის თეატრში

22 მარტს რუსთაველის სახელობის ორდენოსანმა თეატრმა გვიჩვენა თავისი ახალი ნამუშევარი — ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი".

გაჭედილი დარბაზი დაჭიმული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს სცენაზე გადაშლილ ამბავს—ბოლშევიკური ორგანიზაციის მედგარ ბრძოლას ახალგაზრდა კობა ჯუღაშვილის ხელმძღვანელობით მუშათა მასების დარაზმვისა და თვითმპყრობელობის დამხობისათვის.

პიესა საფუძვლიანად გადაუმუშავებია ავტორს, არსებითად ეს უკვე ახალი პიესაა ბევრი ახალი პერსონაჟით. მხატვრულად და ისტორიული სისწორით არის ნაჩვენები დიდი სტალინის ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასის გათვითცნობიერებასა და დარაზმვაში (ამხანაგი სტალინი სცენაზე არ არის გამოყვანილი), ბოლშევიკური პარტიის დამოკიდებულება ინდივიდუალური ტერორისადმი რეაქციის პერიოდში, მეფის სატრაპების სიმხეცე რევოლუციური მუშების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ მათი თავშეუკავებელი ქედიფი, აღვირახსნილობა პირველი რევოლუციის დამარცხების გამო.

პრემიერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. დამდგმელის (კ. პატარიძე) დაკვირვებული მუშაობა, სპექტაკლის შესანიშნავი მხატვრული გაფორმება (მხატვარი ირ. გამრეკელი), ლამაზი მუსიკა (კომპოზიტორი ი. გოკიელი), აქტიორთა, განსაკუთრებით კი მ. გელოვანის, გ. დავითაშვილის, დ. მჟავიას, ემ. აფხაიძის, ნ. ლაფაჩის და სხვათა მოხდენილი თამაში აუდიტორიის ერთსულოვან მოწონებას იწვევდა.

მაყურებლებმა მხურვალე ოვაცია გაუმართეს რუსთაველის თეატრის მთელ კოლექტივს, რომელმაც ესოდენ საინტერესო სპექტაკლი მოგვცა.

დაწვრილებით შემდეგ.

„დაისი" კიევის საოპერო სცენაზე

მოსკოვი, (სააკ. კორ.) კიევის ოპერისა და ბალეტის ორდენოსან თეატრში დიდი წარმატებით ჩაიარა ზ. ფალიაშვილის ოპერის „დაისის" პრემიერამ. ოპერა დადგმულია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ორდენოსან მანზაის მიერ, ტექსტი უკრაინულად სთარგმნა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა.

ოპერაში მთავარ პარტიებს ასრულებდნენ: მარო — დამსახურებული არტისტი ზოია ბაიდა, მალხაზი — პლატონოვი, კიაზო —დამსახურებული არტისტი გრიშკო, ცანგალა—ჩასტი.

თქვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა კიევის ოპერის რეჟისორს კოლოდუბს, რომელმაც განაცხადა:

— პრემიერაზე თავმოყრილი საზოგადოება გულმხურვალედ მიესალმა ზ. ფალიაშვილის მშვენიერ ოპერას. არტისტებმა კარგად დასძლიეს თავიანთი როლები. დირიჟორმა პირადომვა დიდი შრომა გასწია, რომ სრულად გაეხსნა ოპერის ხალხური სტილი.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ბალეტს, მეტადრე შესანიშნავ მოცეკვავეს ორდენოსან ი. სუხიშვილს.

კიევის გაზეთმა „კომუნისტმა" აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა „დაისის" მუსიკას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხი სამართლიანად ითვლება მსოფლიოს ერთერთ ყველაზე მუსიკალურ ხალხადო.

არქეოლოგიური აღმოჩენები აფხაზეთში

სოხუმი, (საკ. კორ.) ჩაბანლუღში, სოფელ ანუხვას მახლობლად (გუდაუთის რაიონი), გლეხმა მელქონ ზებალიანმა მანდარინის დასარგავად მიწის ამოთხრის დროს აპოვნა სპილენძისა და ბრინჯაოს სამაჯურები, ნაჯახები, ხანჯლები, სამკაულები და სხვ. ზებალიანმა აღნიშნული ნივთები გადასცა აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

როგორც ნახული ნივთები ადასტურებენ, ჩაბანლუღში ფართოდ ყოფილა განვითარებული აღნიშნული ნივთების წარმოება ბრინჯაოს ხანაში, ჯერ კიდევ 3.000 წლის წინათ.

დაისახლისები სწავლობენ აირწყაპიების ხმარებას. სურათზე: საჰაერო-ქიმიური თავდაცვის სწავლების ფრიადოსანი დასახლისა არჩვაძე. ფოტო სერედასი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ახალი ამბები

თურ. „ოქტომბრელის" რედაქციის გრაბოედოვის ქ. № 34) 26-მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე, ოქტომბრელის „ოქტომბრელის" თეატრში ლიტერატურული საღამო, სადაც განხილული იქნება თურ. „ოქტომბრელის" № 1 და № 2.

25 მარტს, საღამოს 8 საათზე, მუშათა სასახლეში (მაჩაბლის, 13) შეხვედრება დიმიტრი ბენაშვილის მოხსენება თემაზე: „ირაკლი აბაშიძის პოეზია".

ქრონიკა

სსრ კავშირისა და ნორვეგიის მთავრობათა დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ უახლოეს დროში დახურულ იქნას ნორვეგიის საკონსულო ლენინგრადში.

პარტკალენდარი

ლ. ქუცხოველის სახელობის პრომაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

25 მარტს

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირში. კონსულტანტები: ქართულ ენაზე—ამხ. მოსაწრაფიშვილი, რუსულ ენაზე—ამხ. გ. კოკნაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ꝏ

25 მარტს, საღამოს 5 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. 26 კომ. სახ. რაიკომის პარტკაბინეტში უპარტიოთა წრეების ხელმძღვანელებისა და რაიონის აგიტატორისათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესრულება მოახსენება თემაზე: „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. მომხსენებლები: ქართულ ენაზე — ამხ. ნ. შენიაძე, რუსულ ენაზე—ამხ. პოღოსოვი.

ꝏ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ვასილ გიორგის-ძე ლომსაძეს, ლოლა თედორეს-ასულ ლომთათიძეს, სიმონ ავაქისძე მატოსოვს, ტარას ალექსანდრეს-ძე მგალობლიშვილს, ვასილ ანდრიას-ძე მინინს, მიხეილ იოსების-ძე ოსიპოვს, უფუნა დავითის-ასულ ფრუიძეს, პეტრე ვლადიმერის-ძე სმირკოვს, ვასილ თედორეს-ძე შშაკოვს, გიორგი კირილეს-ძე ჩიკაშუას, ლავრენტი იასონის-ძე ჩიკვილაძეს, სალვე ლეონტის-ძე იაკობაშვილს და დ. ი. ჩახავას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩახლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

ꝏ

25 მარტს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდის მოპირე ბრიგადის მეცადინეობა.

პროპაგანდისტთა დასწრება სავალდებულოა.

ꝏ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ვასილ გიორგის-ძე ლომსაძეს, ლოლა თედორეს-ასულ ლომთათიძეს, სიმონ ავაქისძე მატოსოვს, ტარას ალექსანდრეს-ძე მგალობლიშვილს, ვასილ ანდრიას-ძე მინინს, მიხეილ იოსების-ძე ოსიპოვს, უფუნა დავითის-ასულ ფრუიძეს, პეტრე ვლადიმერის-ძე სმირკოვს, ვასილ თედორეს-ძე შშაკოვს, გიორგი კირილეს-ძე ჩიკაშუას, ლავრენტი იასონის-ძე ჩიკვილაძეს, სალვე ლეონტის-ძე იაკობაშვილს და დ. ი. ჩახავას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩახლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე ვ. ხატიაშვილი.

ესტრადის თეატრი

პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-02-29

24 მარტს ტალონი № 78

ოპერეტის

ოსტატთა ლენინგრადის ანსამბლის

უკანასკნელი გასტროლი

I. ძალის მზაკვრობა

ოპერეტა 1 მოქმ.

II. ჭითის ვარდი

ოპერეტა 1 მოქმ.

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 9 ს.

25 მარტს ტალონი № 79

ი. ჭავჭავაძის საღამო

ინსცენირებანი:

1. კაკო-ყაჩაღი
2. მგზავრის წერილები
3. დედა და შვილი

დადგმა ა. იმედაშვილისა.

ბილეთები იყიდება, დასაწყ. საღ. 9 ს.

17745

სომხური აკადემიური სახ. დრამის თეატრის შენობაში

26 მარტს

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წარმოდგენა

სამანიშვილის დედინაცვალი

კომედია 4 მოქმ. დ. კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით გასცენიურებული ჯ. გელეიშვილის მიერ.

დადგმა რეს. დამსახ. არტ. შ. ღამბაშიძისა

მხატვარი პროფ. დ. კაკაბაძე

მუსიკა ვ. კუჩერიდისა

დირიჟორი ჯ. გოგიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 9 საათამდე. 50

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

24/III — დღის წარმოდგენა — მოწაფეთათვის — **ლაზარე** — დასაწყისი დღის 12 საათზე.

24/III — მუშმ. ადგ. ტალ. № 142 — საღამოს — **რიგოლეტო**

25/III — მუშმ. ადგ. ტალონი № 143 — **სიმფონიური კონცერტი**

დასაწყისი საღ. 8 საათზე

მუდმივი ადგილების

გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში.

სახსრკი. ტელ. 3-11-44

დღეს, 24 მარტს

ცირკის სანახაობა

განახლებული პროგრამით

აგრეთვე ფრანგული პროფესიული **ჭიდაობის** მატჩების გაგრძელება

ჰიდაობას ვ ფუვილი:

1-ლი—**შ. კოქეშიაკა—ჰ. ზაგორუიკო.**

მე-2—**რ. ნორკინი—ს. პუგაჩოვი.**

მე-3—**მიხალენკო—ვილი ბური.**

დასაწყ. წარმოდგ. საღ. 8 ს. 30 წ., ჭიდაობისა — 10½ ს.

სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 საათიდან.

დღეს მეოთხე საარდადეგო წარმოდგენა **დღიტით** დასაწყ. დღის 2 ს.

25 მარტს 2 წარმოდგენა — **დღისით** და საღამოს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

24/III წარმ. № 131 — **ვერაგობა და სიყვარული**

24/III — დღის წარმოდგენა — **ნაკერნალიდან** დასაწყ. დღის 12 საათზე.

26/III წარმ. № 132 — **შური**

დასაწყისი 8 საათზე.

სალარო ღიაა დილის 12-დან საღ. 9 საათ.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

1938 წ. ნეზონი

24/III — წარმოდგენა 129. — **სულელი**

26/III — წარმოდგენა 130. — **სულელი**

27/III — წარმოდგენა 131. — **სულელი**

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.

დასაწყ. 8 საათზე.

სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქ ფილიალი აუწყებს საზოგადოებას ქიმიური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის

ზაქარია ნამორაძის

გარდაცვალების.

17744

სასამართლო დაცვის შესახებ

სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი უახლოეს დროში გაატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს სასამართლო დაცვის საქმის მოსაწესრიგებლად.

უკანასკნელ დრომდე დამცველთა მთელ რიგ კოლეგიებსა და კოლექტივებში ხდებოდა უმსგავსოებანი, უგულებელყოფილი იყო იმ მოქალაქეთა სასამართლო დაცვა სასამართლოებში, რომლებიც იურიდიული დახმარებისათვის დამცველებს მიმართავდნენ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინანდელი ხელმძღვანელობის მავნებლურმა პრაქტიკამ გამოიწვია ის, რომ დამცველთა ბევრი კოლექტივის მუშაობა ჩაშლილი იყო. ასე, მაგალითად, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის 48 რაიონიდან დამცველები მოიპოვებიან მხოლოდ 19 რაიონში. სასამართლო დაცვა არ არის აგრეთვე ტაჯიკეთის 30 რაიონში, თურქმენეთის 20 რაიონში, შორეულ-აღმოსავლეთის მხარის ზოგიერთ რაიონში და ა. შ. მაგალითად, სასამართლო დაცვისათვის ბოდაიბოს და კირენსკის მოქალაქენი იძულებული არიან „გამოიწერონ" დამცველები ასეული კილომეტრების მანძილიდან — ირკუტსკიდან. სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში დამცველები საჭიროზე უფრო მეტია. მარტო მოსკოვში 914 დამცველი ითვლება.

დამცველთა ზოგიერთი კოლექტივი, როგორც ცნობილია, კომერციულ საწარმოებად გადაიქცა. ხშირად არღვევენ მოსახლეობის მომსახურებისათვის დაწესებულ ნიხრს. ცალკეული დამცველები წამგლეჯობას ეწევიან. იყო შემთხვევები, როცა ცალკეული „დამცველები" უარს ამბობდნენ დაეცვათ საქმეები სასამართლოებში არსებული ნიხრის მიხედვით და ამ საქმეებს გადასცემდნენ ხოლმე თავის ნაკლებად გამოცდილ ამხანაგებს კოლექტივში.

ბრძანება, რომელსაც ახლა სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატი ამუშავებს, ხელს შეუწყობს სასამართლო დაცვის გარდაქმნას. დამცველთა კოლექტივი უნდა გადაიქცეს საბჭოთა დაწესებულებად, რომელიც შესძლებს განახორციელოს მოქალაქეთა დაცვა სასამართლოებში, როგორც ეს ჩაწერილია სტალინური კონსტიტუციის მე-111 მუხლში. (საკადესი).

საკოლმეურნეო და რაიონული ელსადგურები

ტრესტი „სოფლელექტრო" ორდენოსანი საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საქმეში საკმაოდ დიდ მუშაობას ატარებს.

„სოფლელექტრომ" წელს ამბროლაურში დაამთავრა დიდი რაიონული ელექტროსადგურის—რიცეულის მშენებლობა, რომელიც ელენერგიით ამარაგებს 22 სოფელს, რაიონის სახერხ ქარხანას და სხვადასხვა სახის საწარმოებს.

დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოში (ხევსურეთი) მდინარე არაგვზე წელს ახალი ელსადგური მოეწყო, რომლითაც განათებულია მთელი სოფელი. ამჟამად სრულდება მთელი რიგი დამატებითი სამუშაოები ელსადგურის მაქსიმალური ძალოვნების გამოყენების მიზნით.

მომდინარე წლის დასაწყისში დამთავრდა საკოლმეურნეო ახალი ელსადგურების მშენებლობა ლუქსემბურგის რაიონის სოფელ დაშტიკულარში და სოფელ ლუქსემბურგში. ეს სადგურები ელექტროდენს აძლევენ რაიონის 7 კოლმეურნეობას.

საკოლმეურნეო ახალი ელსადგურები მოეწყო აგრეთვე ბორჩალოს რაიონის სოფ. სადახლოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში, თბილისის რაიონის სოფ. დიდლილოში, წულუკიძის რაიონის სოფ. კინჩხას კოლმეურნეობა „წინსვლაში" და მახარაძის რაიონის სოფ. ბახვში.

განზრახულია 1938 წელს დამთავრდეს და ექსპლოატაციაში გაიშვას საკოლმეურნეო ელსადგურები ბორჯომის რაიონის სოფ. დვირში, ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ღორეშაში, ზნაურში (სამხრეთ-ოსეთი), გორის რაიონის სოფ. არბოში, ლენინგორში (სამხრეთ-ოსეთი), მესტიაში (სვანეთი), ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში და სხვაგან.

თბილისის კომსერვატორიასთან არსებული სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი. მარცხნიდან მარჯვნივ — ლ. შიუკაშვილი (პირველი ვიოლინო), გ. ბარნაბიშვილი (ვიოლონჩელი), ა. პოღოსოვი (მეორე ვიოლინო) და ლ. იაშვილი (ალტი). ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

დ. ლომთაძე

ქალაქი რაჭაში

უწინ ეს ადგილები ვინმე მემამულე მინა გიორგობიანს და რამდენიმე სხვა აზნაურს ეკუთვნოდა. მაშინ აქ საბოქაულოს ცენტრი იყო. ორიოდე სამიკიტნოში ზნაკელ მეარღნეებს დაესადგურებინათ და მენისიაც მოქეიფე აზნაურებისაგან უშედეგოდ მოელოდნენ უზალთუნებს...

— ჯიბია ყიფიანი ქეიფობს, ზევიდან მეორე გადაატრიალე, „ორღანჩიკო"!

— ოხ, რა რიგად გიხდება,
შავ კაბაზე ტუფლები,
არვის გაუკვირდება,
თუ მე ჩამეხუტება...

ქეიფობდნენ და მღეროდნენ მაშინ რეაქციით წათამამებული აზნაურები და თავადები. მღეროდნენ საამიკო სიმღერებს. უსაქმურნი ქალებზე ოცნებასა და ღვინის პირუტყვულად სმაში ატარებდნენ დროს. ხარჯავდნენ გლეხების პატიოსანი შრომით მონაგარ და მათგან უსინდისოდ მითვისებულ დოვლათს. ჩამოიცილდა დუქნებს დეზებიანი ბოქაული მათრახით ხელში და იწვევდნენ მას „ერთი ჭიქა" ღვინის შესასმელად შეზარხოშებული გოცირიძეები, ჯაფარიძეები და ყიფიანები.

ასე იყო, ასე გრძელდებოდა ყოველდღე ამბროლაურში.

სამიკიტნოების გარდა მაშინ აქ ერთი ფართლეულის „მაღაზია" იყო, პატარა აფთიაქი, სამმასახლისოს კანცელარია და საბოქაულოს სამმართველო. იყო, რა თქმა უნდა, სატუსაღოც. უამისობა არ შეეძლოთ არც ბოქაულსა და არც ურიადნიკებს. თავადებისა და პოლიციის ურჩობისათვის სატუსაღოში ჩაყრილი იყვნენ გლეხები. ამბროლაურში მივდივარო,—რომ იტყოდა ძველად გლეხი, თანამოსაუბრისათვის გასაგები იყო, რომ იგი ან პოლიციაში იქნებოდა დაბარებული, ან სასამართლოში, ანდა მამასახლისთან გადასახადის თაობაზე. სხვა რა საქმე უნდა ჰქონოდა ამბროლაურში გლეხს? ბაზრობა იქ არ იცოდნენ და სასწავლებელი იქ არ არსებობდა.

ყველასგან მოძულებული და დავიწყებული იყო მაშინ ამბროლაური.

საქართველოს დიდ გეოგრაფოსსა და თავისი დროის შესაფერისად დიდ მეცნიერს—ვახუშტის საჭიროდ არ უცვნია ამბროლაურის აღწერისათვის ორ სტრიქონზე მეტი დაეხარჯა:

„რიონის სამხრით და კრიხულის აღმოსავლით ამბროლაურს ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შემკობილებისათვის", (ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 282).

რა იცოდა მაშინ ვახუშტიმ, თუ აქ, „ადგილის შემკობილებისათვის" ერთდროს ქალაქი გაშენდებოდა, ამბროლაური რაიონის ცენტრი იქნებოდა, მოვიდოდნენ საბჭოთა მგზგმავები და გადაფურცლავდნენ მის გეოგრაფიას, რომ ეპოვნათ ცნობები ამბროლაურის წარსულის შესახებ, რათა ამ ცნობებით აღუჭურვილებს უკეთესად დაემუშავებინათ ქალაქის მშენებლობის გენერალური გეგმა ამბროლაურისა.

ამბროლაური ახლა ქალაქია, თუმცა მას ჯერ კიდევ არ მოუპოვებია ამ სახელწოდების ოფიციალურად მიკუთვნების უფლება.

ახალი ქალაქის გენერალური გეგმას ახლა ამუშავებენ და ახლავე იწყებენ ამ გეგმის განხორციელებას. გენერალური გეგმის კონტურები სავსებით გამორკვეულია. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ახლა იმის ფიქრში არიან, რომ როგორმე მოკლე ხანშივე მიიღონ დამთავრებული გენერალური გეგმა, რათა მეტი გაქანებით გაშალონ საქალაქო მშენებლობა.

სამ მთავარ ქუჩას, რომელიც შომავალი ქალაქის ხერხემალი იქნება, უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ხუთიოდე ქუჩა შეემატება. ახლა მუშაობენ წყალსადენის გასაყვანად, რაც 255.000 მანეთამდე უჯდებათ. წყალი მოჰყავთ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ქვაბთკარიდან. აქ, სათავესთან სატუმბო სადგურს აშენებენ და მილებს აწყობენ, ისე რომ წყალსადენი ამბროლაურს მალე ექნება. ექნება საუკეთესო ხარისხის წყაროს წყალი.

გარდა ამისა, წელს ამბროლაურში იწყებენ კულტურის სახლის მშენებლობას. სახლის გარშემო ბაღს გააშენებენ. მახლობლად გადაწყვეტილია საავადმყოფოს ახალი შენობის აგება. ეს საავადმყოფო ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს მთელს დასავლეთ საქართველოში, არა მარტო გარეგნული აღნაგობით, არამედ საბჭოთა მედიცინის უახლეს მიღწევათა გამოყენებით, მოწყობილობით, აპარატურით, კვალიფიციური მედპერსონალით. იქ 50 საწოლი იქნება. მისი აგება 600 ათას მანეთად დაჯდება.

დაიწყეს და აშენებენ დიდ საჯარო ბიბლიოთეკას წივნთსაცავით (60.000 ტომის შესანახად), რაც 200.000 მანეთამდე უჯდებათ.

ამბროლაურში გაშლილი მშენებლობის სურათი მარტო ამ ობიექტებით არ ამოიწურება. ამჟამად აშენებენ სარეწაო კოოპერაციის დიდ სახლს, ათწლედის ახალ შენობას, სასტუმროს შენობას, საბავშვო ბაღის შენობას, საპარაშუტო კოშკს, ვეტერინარულ ამბულატორიასა და სხვ.

უკვე დაამთავრეს 26 ოთახიანი საცხოვრებელი სახლის, 40 საწოლიანი სასტუმროს, ადგილობრივი მეურნეობის სახლის, სამშობიარო სახლისა და მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობა. 4 საშუალო სასწავლებელია ახლა ამბროლაურში, არის კინო-თეატრი, კლუბი, ფიზკულტურის მოედანი და სხვ. არის და სრული დატვირთვით მუშაობს აგურ-კრამატის საკმაოდ მოზრდილი ქარხანა, რომლის პროდუქცია უმთავრესად ადგილობრივ მშენებლობას ხმარდება.

ამბროლაურში არის საუცხოო საბაზრო მოედანი და იქ ყოველ კვირადღეს იმართება დიდი ბაზრობა. საიდან გინდათ, რომ ამ ბაზრობაზე არ მოდიოდნენ კოლმეურნეები, არ მოჰქონდეთ გარდამტი პროდუქტები. ისინი მეზობელ რაიონებიდანაც კი მოდიან.

ორი გზატკეცილი აკავშირებს ამბროლაურს რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებთან, პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოს გულთან — ქუთაისთან. რკინიგზასთან დამაკავშირებელ უმოკლეს გზად ითვლება ამბროლაურ - ტყიბულის გზატკეცილი, რომელიც ნაქერალის ქედზე გადადის. მიმოჰქრიან ამ გზაზე ავტომობილები, გადაჰყავთ მგზავრები, გადააქვთ საქონელი. მთავარ მაგისტრალად ჯერჯერობით მაინც ქუთაის-შოვის გზატკეცილი ითვლება. ათეულობით ავტომობილები მიმოდიან ამ გზაზე ქუთაის-ამბროლაურს შუა, მაგრამ ტვირთების გადატან - გადმოტანის საჭიროება იმდენად დიდია, რომ საჭირო ხდება ურმებითაც ზიდონ იგი არა მარტო ამბროლაურამდე, უფრო შორსაც, ონამდე. სატრანსპორტო საშუალებათა სიმცირე ამ გზაზე (განსაკუთრებით სამგზავრო სატრანსპორტო საშუალებებისა) დიდად აფერხებს მიმოსვლას რაჭა-ლეჩხუმისაკენ და მრავალ უხერხულობას ჰქმნის მგზავრებისათვის. ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრნია რაჭისაკენ, მისთვის ეს გარემოება ცხადი გახდებოდა. მაგრამ, ეტყობა, ეს ცხადი არაა მარტო საქავტოტრანსისათვის, რომელიც ათას მიზეზს გამონახავს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს რაჭისკენ ავტობუსთა საკმაო რაოდენობით გაგზავნის ვ